2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი

2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი

თბილისი, 2016

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

ავტორი: ანა გურიელი
რედაქტორები: ალეკო ცქიტიშვილი, ნინო ტლაშაძე
თარგმანი: გურანდა ბურსულაია

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48 ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: http://www.humanrights.ge, http://www.hridc.org

ანგარიში მომზადდა პროექტის - "2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი.

NORWEGIAN HELSINKI COMMITTEE
DEN NORSKE HELSINGFORSKOMITE

სარჩევი

შესავალი 5
წინასაარჩევნო პერიოდი 7
საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია 11
ამომრჩეველთა სიები 15
ძალადობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები 16
საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო ფაქტები 20
ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები 21
უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის შეფასება 24
კენჭისყრის დღის შეფასება 26
კენჭისყრის შენობის მოწყობა 28
საარჩევნო უბნის გახსნა 30
ამომრჩეველთა მარკირება 30
კენჭისყრის ჩატარება 32
გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული საკითხები 35
ბიულეტენებთან დაკავშირებული საკითხები 37
ხმის დათვლა 37
კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციისა და წესრიგის დარღვევის ფაქტები 39
კენჭისყრის დღის საჩივრები და შენიშვნები ჩანაწერთა წიგნში 44
ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა 45
საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა 46
დამკვირვებელთა და ჟურნალისტთა საქმიანობისათვის ხელშეშლის ფაქტები 47
საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 49
ხმაური ყიზილაჯლოს 35.23.50-ე საარჩევნო უბანზე 51
რეკომენდაციები 52

შესავალი

საპარლამენტო არჩევნები საქართველოში განსაკუთრებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობით გამოირჩევა. შესაბამისად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლებრივ რეჟიმში წარმართვა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ამბიციის მქონე სახელმწიფოს, მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის, როგორც ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მიზანია კანონშესაბამისი საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვაში მონაწილეობა; საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და მოხელეების მხრიდან წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენა და შესაბამის ანგარიშში ასახვა. ამავდროულად, საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების რეკომენდირება.

2016 წლის 1 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაიარა რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად, რაც დადასტურდა №392/2016 განკარგულებით[1]. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიენიჭა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსი ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში და უფლება მიეცა, დაკვირვებოდა არჩევნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. დამკვირვებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის ორგანიზებით, შერჩეულ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე.

ამასთან, 19 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგამოცემა - www.humanrights.ge-მ ცესკოში გაიარა აკრედიტაცია, როგორც პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებამ. აღნიშნული დადასტურდა №04-71/2016 განკარგულებით[2]. შედეგად, ინტერნეტგამოცემა - humanrights.ge-ს მიენიჭა აკრედიტებული მედიასაშუალების სტატუსი ყველა დონის საარჩევნო კომისიაში და უფლება მიეცა, დაკვირვებოდა არჩევნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გაეშუქებინა კენჭისყრის დღე, კენჭისყრის დღემდე პერიოდი და კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ჟურნალისტებმა მოამზადეს პროექტით განსაზღვრული რაოდენობის სტატიები. გარდა თბილისისა, ჟურნალისტები მუშაობდნენ რეგიონებში: შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და იმერეთში. კახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენები, აგრეთვე, გაშუქდა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით. ინტერნეტგამოცემა

[1] იხილეთ განკარგულება: http://cesko.ge/res/docs/CG392.pdf

[2] იხილეთ განკარგულება: http://cesko.ge/res/docs/Mg_04-71.pdf

Humanrights.ge სტატიებს აქვეყნებდა ორ - ინგლისურ და ქართულ ენებზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სოციალური რეკლამა არჩევნების მონიტორინგის თაობაზე, რითაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, რომ დარღვევების არსებობის შემთხვევაში, დაკავშირებოდნენ ორგანიზაციის ოფისებს, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღეს; აღნიშნული რეკლამა განათავსეს ნაციონალურმა სატელევიზიო არხებმა: იმედი, მაესტრო, კავკასია, ტაბულა, GDS, პირველი TV, იბერია TV, Palitranews, თრიალეთი, ქვემო ქართლი, გურჯაანი, რუსთავის ტელევიზია. ცხელი ხაზი მუშაობდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარ და რეგიონალურ ოფისებში: თბილისში, გორში, რუსთავსა და გურჯაანში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ვიდეოსტუდიამ - hridc.tv მოამზადა დოკუმენტური ფილმი წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ - „საარჩევნო გარემო 2016“[3].

პროექტის ფარგლებში სისტემატურად გროვდებოდა ინფორმაცია კონკრეტული დარღვევების შესახებ - ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თაობაზე, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისათვის საარჩევნო კოდექსის შესაბამისი საარჩევნო კამპანიის ჩატარების ხელისშეშლის თაობაზე, არჩევნების დღეს არსებული პროცედურული დარღვევების თაობაზე და ა.შ. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილ, უწყებათაშორისი კომისიისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებში.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილდება წინასაარჩევნო პერიოდის ძირითად ტენდენციებზე, უშუალოდ არჩევნების დღესა და არჩევების მეორე ტურზე.

ზოგადად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგმა ცხადყო, რომ წინა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამ არჩევნებში დაფიქსირდა შედარებით ნაკლები დარღვევა, რამაც საარჩევნო გარემო მეტად სტაბილური გახადა. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ სახელისუფლებო პარტიისათვის კონკურენციის გაწევის მეტი შესაძლებლობა, რამაც არჩევნები უფრო პლურალისტურად და გამჭვირვალედ წარმოაჩინა. ამის მიუხედავად, კვლავ დაფიქსირდა არაერთი დარღვევა, რაზეც ყურადღება გამახვილდება წინამდებარე ანგარიშში.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ტენდენციის მიუხედავად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მაინც ვერ შეფასდება როგორც სრულყოფილი. კვლავ აუცილებელია სისტემური ცვლილებების განხორციელება, მეტი სწრაფვა კანონმდებლობის სრულყოფისაკენ, მეტი მუშაობა, ჩართულობა და რიგი აქტივობების განხორციელება სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან, გარემოს გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

[3] იხილეთ დოკუმენტური ფილმი: http://hridc.tv/index.php?a=view&id=1207&lang=geo

საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აუცილებელია აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმატებული მცდელობა: 2015 წლის 28 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი – „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საარჩევნო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ადგენდა 73 ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის განსაზღვრის წესს.

სადავო ნორმების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებისათვის თითოეული მუნიციპალიტეტი, თბილისის გარდა, წარმოადგენდა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქს, ხოლო თბილისში იქმნებოდა 10 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. მოსარჩელეების მოსაზრებით, მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმები არ იყო თანაბარი ძალის მქონე. მაგალითად, საბურთალოს საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული 128 545 ამომრჩეველი ირჩევდა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს, იმ დროს, როდესაც, ყაზბეგის საარჩევნო ოლქში ერთ მაჟორიტარ დეპუტატს ირჩევდა მხოლოდ 5 810 ამომრჩეველი. ამდენად, ყაზბეგის ამომრჩევლის ხმა 22-ჯერ უფრო წონადი იყო, ვიდრე საბურთალოს საარჩევნო ოლქის ამომრჩევლის ხმა, რაც აშკარად მეტყველებდა სისტემის დისკრიმინაციულობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის სადავოდ გამხდარი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება) და 28-ე მუხლის პირველ პუნქტთან (საყოველთაო საარჩევნო უფლება) მიმართებით.[4] აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელი მომზადდა 2012 წლის დეკემბერში, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრს უჩა ნანუაშვილი ხელმძღვანელობდა.

წინასაარჩევნო პერიოდი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პირველი არჩევნებია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. შესაბამისად, არსებობდა გამოკვეთილი განსაკუთრებული მოლოდინები, ინტერესი მის მიმართ. არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარებას უდიდესი როლი ენიჭებოდა საქართველოს შემდგომი დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის.

2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდი, გარკვეული თვალსაზრისით, დადებით შეფასებას იმსახურებს. იგი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით უფრო მშვიდ და სამართლიან გარემოში წარიმართა. პოლიტიკური პარტიები დაუბრკოლებლად აწარმოებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, საკუთარი პროგრამა შეფერხების გარეშე წარმოედგინათ და

[4] იხილეთ ვრცლად უჩა ნანუაშვილისა და მიხეილ შარაშიძის სარჩელის თაობაზე

გაეცნოთ ამომრჩევლებისათვის. ამასთანავე, 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდისაგან განსხვავებით, არსებითად შემცირდა ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელშეშლისა და ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის ფაქტები.

2016 წლის საპარლემენტო არჩევნების წინა პერიოდში, აუდიტის სამსახური გამოირჩეოდა ნაკლები პოლიტიზებულობით. პოლიტიკურ პარტიებს, ისევე როგორც არასამთავრობო სექტორს, ამ უწყების მიმართ ნაკლებად ჰქონდათ პრეტენზიები.

წინასაარჩევნო პერიოდის ერთ-ერთ დადებით ტენდენციად აგრეთვე უნდა ჩაითვალოს კამპანიის წარმოება: „ძალა ვნებს არჩევნებს“, რომელიც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით დაიწყო. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, მშვიდობიანი არჩევნების ჩატარებისთვის გაერთიანდნენ და ვიდეორგოლი ჩაწერეს. პარტიის ცნობილი სახეები – განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა, ამომრჩევლებს მოუწოდებენ, კარგად გააცნობიერებინათ, თუ რა მნიშვნელოვანია არჩევნების ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ჩატარება[5].

პოზიტიურ შეფასებას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივით, საარჩევნო ადმინისტრაციის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა (მათ შორის - ადამიანის უფლებათა ცენტრმა) ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს[6], რომლის საფუძველზეც შეთანხმდნენ, რომ თავისი საქმიანობის განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებდნენ. დოკუმენტი მიზნად ისახავდა 2016 წლის პარლამენტის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობას. კანონის უზენაესობის პატივისცემას და ძირითადი საარჩევნო პრინციპების განხორციელებას.

პოზიტიურ გარემოებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში, წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, აქტუალური არ იყო სპეცუბნებთან დაკავშირებული პრობლემები. სულ შეიქმნა 11 სპეცუბანი, რაც მოიცავდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და სამკურნალო დაწესებულებაში შექმნილ უბნებს[7].

მიუხედავად ხსენებული პოზიტიური ტენდენციებისა, შეიმჩნეოდა პოლიტიკური ველის მხოლოდ ორ დაპირისპირებულ მხარედ წარმოჩენის მცდელობები „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რაზეც წინასაარჩევნო პერიოდში არაერთი

---

[5] უწყებათაშორისი კომისიის ეგიდით პოლიტიკური პარტიები მშვიდობიანი არჩევნებისთვის გაერთიანდნენ

[6] იხილეთ ქცევის კოდექსი: http://cesko.ge/res/docs/qceviskodeqsi.pdf

[7] იხილეთ ინფორმაცია საპარლამენტო არჩევნებისათვის გამონაკლის შეთხვევაში შექმნილი უბნების თაობაზე: http://cesko.ge/res/docs/gamonaklisi.pdf

დამკვირვებელი ორგანიზაციაც საუბრობდა[8] და რასაც სხვა პარტიების წარმომადგენლებიც აკრიტიკებდნენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ საქართველომ უნდა დაძლიოს პოლიტიკური პოლარიზაციის დღევანდელი დონე. განვითარების ახალ ეტაპზე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მეტად მრავალფეროვანი და პლურალისტული პოლიტიკური გარემო, სადაც მხოლოდ ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალა კი არ იქნება პოლიტიკური ამინდის განმსაზღვრელი, არამედ სხვა პარტიებიც აქტიურად ჩაერთვებიან ქვეყნისთვის სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტაში[9].

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდი ხასიათდებოდა რიგი შემთხვევებით, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების კანდიდატები, აქტივისტები ტოვებდნენ/იცვლიდნენ პოლიტიკურ პარტიებს ან/და წყვეტდნენ პოლიტიკურ საქმიანობას. ამ თვალაზრისით გამოირჩეოდა პაატა ბურჭულაძის პარტია „სახელმწიფო ხალხისათვის“[10]. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა სხვა პარტიების შემთხვევაშიც: მაგალითად, რუსთავის №30-ე ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატმა, თეიმურაზ ნეფარიძემ ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების“ გუნდი მაშინ დატოვა, როდესაც პარტიას უკვე სხვა კანდიდატის წარსადგენად დრო აღარ რჩებოდა[11]. რიგ შემთხვევებში აღნიშნული ცვლილებების საფუძვლად სახელდებოდა შიდაპარტიული პრობლემები, მაგრამ ზოგჯერ ჩნდებოდა კითხვები სხვა შესაძლო გარე ფაქტორების, მათ შორის - ზეწოლის თაობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, წინასაარჩევნოდ, პარტიის წევრების მხრიდან მითითებული ტიპის გადაწყვეტილებები ხელს უშლიდა სტაბილური საარჩევნო გარემოს ფორმირებას.

მიუხედავად პარტიების მიმართ არაერთი სამოქალაქო მოწოდებისა, წინასაარჩევნო პერიოდი მაქსიმალურად სამართლებრივ რეჟიმში მოქცეულიყო და ყოფილიყო ფოკუსირებული საარჩევნო პროგრამებზე, ამ პერიოდს მაინც თან სდევდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ზღვარგადასული კრიტიკა, რომელიც სცდებოდა დასაშვებ ზღვარს და მიუღებლად უნდა ჩაითვალოს დემოკრატიული მისწრაფების მქონე სახელმწიფოსათვის. დაფიქსირდა კონფლიქტის შემთხვევები პირდაპირ ტელეეთერში[12]. პოლიტიკურმა პარტიებმა ვერც ამ არჩევნებზე მოახერხეს პოლიტიკური დისკუსიების წარმართვა სიძულვილის ენის გამოყენების გარეშე.

---

[8] მათ შორის - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

[9] იხილეთ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18858&lang=geo

[10] ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18873&lang=geo

[11] ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18907&lang=geo

[12]მაგალითისთვის იხილეთ ხელჩართული ჩხუბი პირდაპირ ეთერში: https://www.youtube.com/watch?v=ZrL7dMYDRCs

ზოგადი ტენდენციის სახით, აგრეთვე, შეინიშნებოდა წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა. ჩანაწერების შინაარსობრივი მხარე აგრეთვე მიუთითებდა მათი მეშვეობით პოლიტიკური პროცესების მანიპულაციის მცდელობებზე, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება თანამედროვე, დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს. ადამიანის უფლებათა ცენტრი გამოეხმაურა 2016 წლის 14 სექტემბერს ინტერნეტით გავრცელებულ სატელეფონო საუბრის ფარულ ჩანაწერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორსა და ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერს შორის. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სახელმწიფო ვალდებულია, ადეკვატური და დროული რეაგირება მოახდინოს მსგავს ფაქტებთან მიმართებით. ადამიანის უფლებათა ცენტრმა ხელისუფლებას და უფლებამოსილ უწყებებს მოუწოდა, გადაიდგას კონკრეტული, ეფექტიანი ნაბიჯები უკანონო ფარული მოსმენების წინააღმდეგ საბრძოლველად. კანონით დადგენილი წესით, დროულად გამოიძიონ ფარული სატელეფონო ჩანაწერის მოპოვებისა და გავრცელების ფაქტები; ამასთან, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა განისაზღვროს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და ხელისუფლების სხვა ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება; შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რითაც აღიკვეთება მსგავსი კანონსაწინააღმდეგო, ღირსებისშემლახავი ფაქტები, ჩატარდება ეფექტიანი გამოძიება კანონდამრღვევთა გამოსავლენად[13]. ჩანაწერების გავრცელების ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფოში უკანონო მოსმენების პრაქტიკა კვლავ არსებობს, რაც საზოგადოებაში ქმნის დაუცველობის შეგრძნებას, ეჭვქვეშ აყენებს კანონის უზენაესობას, დემოკრატიული პრინციპების პრიორიტეტულობას.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში საინტერესო დისკუსია გამოიწვია „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ წინასაარჩევნო რეკლამამ. რეკლამა ხაზს უსვამდა არჩევნებში ახალგაზრდა პირების მონაწილეობის მნიშვნელობას, ვინაიდან წარსულში, სხვა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები ასაკოვანი ადამიანების ინტერესებზე იყო მორგებული. საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მსგავსი დამოკიდებულება ხელს უწყობს სტერეოტიპული განწყობის გამყარებას ასაკოვანი ადამიანების მიმართ, რომლებიც, ხშირ შემთხვევებში, ისედაც განიცდიან უთანასწორო მოპყრობას. ასეთი მიდგომა ახალისებს უარყოფით სტერეოტიპებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასაკოვანი ადამიანების მონაწილეობასთან დაკავშირებით და ქმნის საფრთხეს, რომ ისინი მომავალში სხვადასხვა სფეროში დაექვემდებარებიან დისკრიმინაციას ასაკის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ დაუშვებელია წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში იმ მეთოდების გამოყენება,

[13]იხილეთ: ადამიანის უფლებათა ცენტრის გამოხმაურება უკანონო ჩანაწერების გავრცელების ფაქტებთან დაკავშირებით

რომელიც ახალისებს დისკრიმინაციულ მოპყრობას ცალკეული ჯგუფების მიმართ[14].

წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიების მხრიდან აქტიურად განიხილებოდა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების საკითხი. ოპოზიციური პარტიების განცხადებით, აღნიშნული ცვლილების განხორციელება აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიზაციისა და პარტიული ცხოვრების განვითარებისთვის. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის განცხადებით, მიმდინარე დროისათვის ყველა პარტია უჭერს მხარს რეგიონალურ-პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის იდეას, გარდა „ქართული ოცნებისა“[15].

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, თავისი მანდატის ფარგლებში, სახალხო დამცველის ოფისი აკვირდებოდა[16].

გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრი დაკვირვებას აწარმოებდა არჩევნების დღეს, აგრეთვე, წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, აქტიურად ახდენდა საარჩევნო გარემოს შეფასებას. რიგი დადებითი ტენდენციების მიუხედავად, წინასაარჩევნოდ გამოიკვეთა არაერთი პრობლემატური საკითხი, აგრეთვე დემოკრატიული პრინციპების შეუსაბამო აქტები; ხოლო საარჩევნო კანონმდებლობის ზოგიერთი რეგულაცია კვლავ არასწორი პრაქტიკის განვითარების საფრთხეს შეიცავს. შესაბამისად, საარჩევნო მიმართულებით საჭიროდ მიიჩნევა როგორც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, ისე სტანდარტების დახვეწა. ამის გათვალისწინებით, ქვემოთ მითითებულია წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული, კონკრეტული, მნიშვნელოვნად მიჩნეული ფაქტები.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის განკარგულებით, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად განისაზღვრა 8 ოქტომბერი. ცესკომ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ცნობა საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ[17]. რაც შეეხება უშუალოდ კანდიდატთა რეგისტრაციას, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებებით, რეგისტრაციაში გატარდა 25 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 19 პარტია და 6

[14]იხილეთ ვრცლად საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება „გირჩის“ წინასაარჩევნო რეკლამასთან დაკავშირებით

[15] იხილეთ განცხადება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების თაობაზე

[16]იხილეთ ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18878&lang=geo

[17]საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის განკარგულებები არჩევნების დანიშვნის შესახებ; ხელმისაწვდომია: https://www.president.gov.ge

საარჩევნო ბლოკი[18]. 29 პარტიას უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია[19]. ამასთან, არჩევნებისათვის რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობამ შეადგინა 816[20]. ხოლო არჩევნებისათვის რეგისტრაციიდან მოხსნილი მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობაა 73.

კანდიდატთა რეგისტრაციებთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი ფაქტები:

კონკრეტულ პარტიებს უარი ეთქვათ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაზე, ხოლო ზოგიერთს რეგისტრაცია გაუუქმდა[21]. მათ შორის, განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა პ/გ „ცენტრისტების“ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს. მათდამი განსაკუთრებული ყურადღება განაპირობა გამოკვეთილმა, გაცხადებულმა პრორუსულმა ორიენტაციამ, რაც არაერთხელ გახდა განსჯის საგანი სხვა პოლიტიკური ძალებისა თუ საზოგადოების მხრიდან. კერძოდ, ქალაქ რუსთავის მცხოვრებლებს პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ ლიდერი თემურ ხაჩიშვილი რუსეთისაგან დამატებით 400 ლარის ოდენობით პენსიის მიღებას დაჰპირდა. ხაჩიშვილმა ამომრჩევლებს ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანიის საშუალებით მოუწოდა, რომ პირებს, ვისაც სურდათ 400 ლარიანი ე.წ.

---

[18] იხილეთ საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის წარდგენილი პარტიული სიები. ხელმისაწვდომია: http:// cesko.ge/

[19]იხილეთ პარტიების ჩამონათვალი, რომელთაც უარი ეთქვათ/რომელთა რეგისტრაცია გაუქმდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის. ხელმისაწვდომია: http:// cesko.ge/

[20]იხილეთ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატები. ხელმისაწვდომია: http:// cesko.ge/

[21] ეს პარტიებია: პ/გ „გაერთიანებული საქართველოს დემოკრატიული პარტია“; პ/გ „სამართლიანი საქართველოსთვის“; პ/გ ძალოვანი ვეტერანების, პატრიოტთა და პენსიონერთა პოლიტიკური მოძრაობა „მამულიშვილი“; პ/გ „ცენტრისტები“; პ/გპარტია „სამშობლო“; პ/გ „ხმა დედის და ხმა ერის“; პ/გ „ხალხთა მეგობრობისა და სამართლიანობის პარტია;„საქართველოს თავისუფალ-დემოკრატიული პარტია“; პ/გ „საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პარტია“;პ/გ „დემოკრატიული საქართველო“;პ/გ პარტია „ლიბერალდემოკრატები“;პ/გ „სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის ალიანსი“; პ/გ „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“; პ/გ საქართველოს მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინი“;პ/გ „ახალი“; პ/გ „ტოლერანტთა ალიანსი - საქართველოს გაერთიანებისათვის“ (დევნილები); პ/გ ნეიტრალური ევრაზიული საქართველო; პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“; პ/გ „თეთრები“; პ/გ „ნეიტრალური საქართველო“; პ/გ „ქრისტიან კონსერვატიული პარტია“; პ/გ საქართველოს ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“; პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“; პ/გ „ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი“;

„რუსული პენსიის“ მიღება, ვალდებულნი იყვნენ, რეგისტრაცია გაევლოთ პარტია „ცენტრისტების“ რუსთავის ოფისში[22].

პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“ მისი წარმომადგენლის, თემურ ხაჩიშვილის სახელით ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს აფორმებდა ამომრჩეველთან. ხელშეკრულების თანახმად, ამომრჩეველი იღებდა ვალდებულებას, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, შედეგად, კი არჩევნების დასრულების შემდეგ, 50 დღეში მიიღებდა დამატებით რუსულ პენსიას - 400 ლარის ოდენობით.

საბოლოოდ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის №74/2016 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის განკარგულება № 43/2016 ბათილად ცნეს მისი ძალაში შესვლის დღიდან. რეგისტრაციის შეფერხების საფუძველი გახდა იურიდიულად უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირის არარსებობა. კერძოდ, საჯარო რეესტრმა 2016 წლის 15 აგვისტოს გავრცელებულ წერილობით განცხადებაში აღნიშნა, რომ „ცენტრისტების“ მიერ მაისის ბოლოს გამართული რიგგარეშე ყრილობა და იქ პარტიის ახალი თავმჯდომარის „არჩევის პროცედურები არ შეესაბამებოდა რეგისტრირებული წესდებით დადგენილ რეგულაციებს“[23].

პარტიის ლიდერების - თემურ ხაჩიშვილისა და ლადო ბედუკაძის გადაწყვეტილებით, მათ არჩევნებში მონაწილეობა „საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინელების“ სახელით მიიღეს[24].

სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაბათილდა ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება, რითაც საარჩევნო ბლოკი „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ რეგისტრაციიდან მოიხსნა. რეგისტრაციიდან მოხსნისას, მიზეზად დასახელდა საარჩევნო ბლოკის მიერ დადგენილ ვადებში პარტიული სიის წარუდგენლობა. სასამართლომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაავალა, გამოეცა ახალი განკარგულება, რომლის თანახმადაც „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდა და ასევე დარეგისტრირდა მისი პროპორციული სია.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აგრეთვე დაეკისრა 100 ლარი საარჩევნო ბლოკ „თოფაძე-მრეწველები ჩვენი

---

[22] იხილეთ ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18848&lang=geo

[23]იხილეთ ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18854&lang=geo

[24]ინფორმაცია იხილეთ: http://www.interpressnews.ge/ge/skhva/393341-themur-khachishvili-da-lado-bedukadze-archevnebshi-monatsileobas-saqarthvelos-komunisturi-partia-stalinelebis-sakhelith-miigheben.html?ar=A

სამშობლოს“ სასარგებლოდ, რაც საარჩევნო ბლოკმა სასამართლოში სარჩელის შეტანისას დახარჯა[25].

რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით საუბრისას აღსანიშნავია შემდეგიც: წინასაარჩევნოდ, მოძრაობა „სახელმწიფო ხალხისთვის“, „გირჩი“, „ახალი მემარჯვენეები“ და „ახალი საქართველო“ ერთ საარჩევნო პლატფორმაში გაერთიანდნენ[26]. როგორც პარტიების ლიდერები აცხადებდნენ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების საერთო ხედვა, საგარეო კურსი, პროდასავლური არჩევანი, ინოვაციური იდეები და საერთო გეგმები - ეს იყო ის არასრული ჩამონათვალი, რაც მათ პოლიტიკურ ძალებს აერთიანებდათ. აღნიშნულის მიუხედავად, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საარჩევნო პლატფორმა დაიშალა, კოალიცია ვერ შედგა.

- კანდიდატთა რეგისტრაციის პროცედურებთან მიმართებით აღსანიშნავია შემდეგი: 2016 წლის 27 აგვისტოს N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გამოსცა N07/2016 განკარგულება, რომლის თანახმადაც 2016 წლის 08 ოქტომბრის საქართველოს პარალმენტის არჩევნებისათვის N71 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ წარდგენილი ლეონიდ ჩერნოვეცკი დარეგისტრირდა პარლამენტის წევრობის მაჟორიტარობის კანდიდატად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა. საქართველოს კონსტიტუციის 48-ემუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. უდავოა, რომ სუბიექტი, რომელიც მიზანად ისახავს, გახდეს პარლამენტის წევრი, ვალდებულია, აკმაყოფილებდეს იმ ცენზს, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რეგისტრირებული კანდიდატი ლეონიდ ჩერნოვეცკი, როგორც წესი, ჟურნალისტებს ინტერვიუს აძლევს რუსულ ენაზე. გამომდინარე აქედან, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ლეონიდ ჩერნოვეცკი ვერ

[25]იხილეთ: http://www.interpressnews.ge/ge/samartali/396746-ceskos-saarchevno-bloki-thofadze-mretsvelebi-chveni-samshoblos-saarchevno-registraciis-aghdgena-daevala.html?ar=A

[26] შეიქმნა ახალი პოლიტიკური პლატფორმა ”პაატა ბურჭულაძე - მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის”

ფლობს ქართულ ენას, რაც ამ ფაქტის გათვალისწინების შემთხვევაში, გამორიცხავდა მის რეგისტრაციას მაჟორიტარობის კანდიდატად.

კანდიდატთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ „თავისუფალი დემოკრატების“ გლდანის 21 -ე საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ამირან გიგუაშვილი ამავე ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ლევან კობიაშვილის რეგისტრაციიდან მოხსნას მოითხოვდა. საკითხი შეეხებოდა ლევან კობიაშვილის საქართველოში ცხოვრების ორწლიან ვადას. „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადებით, კობიაშვილი გერმანიაში ხანგრძლივი ცხოვრებისა და მუშაობის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა 2015 წლის ივლისში, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. შესაბამისად, იგი ბოლო ორი წლის მანძილზე მუდმივად არ ცხოვრობდა საქართველოში, როგორც ეს საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული და ამ საფუძვლით ის უნდა მოხსნილიყო რეგისტრაციიდან [27].

ამომრჩეველთა სიები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ინსტიტუციების მიერ გადმოცემული მონაცემების დამუშავება და ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება. 2016 წლის 12 აგვისტოს მდგომარეობით, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 3 510 514, მათ შორის: ქალი – 1 887 130 (53.75%) და კაცი – 1 623 384 (46.24%). ამომრჩევლის ხმის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ დაადგინა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებითი წესი, რომლის თანახმად, სიას მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული და რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების მონაცემები დაემატა[28].

ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების გამარტივების მიზნით, ცესკომ ამომრჩეველს ახალი სერვისები შესთავაზა. ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება, აღნიშნული ინფორმაცია გადაემოწმებინა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე - voters.cec.gov.ge, ასევე - საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7 000 სწრაფი გადახდის ტერმინალისა და ანდროიდის სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის საშუალებით. საარჩევნო ადმინისტრაციის ეს გადაწყვეტილება რეალურად უზრუნველყოფდა ამომრჩევლების ხმის უფლებას[29].

ამასთან, უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მიმართათ შესაბამისი საარჩევნო კომისიათვის

---

[27]თავისუფალი დემოკრატები” ლევან კობიაშვილის რეგისტრაციიდან მოხსნას ითხოვდნენ

[28] საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შუალდური ანგარიში. ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/

[29]იხილეთ ვებგვერდი: voters.cec.gov.ge

არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა (2016 წლის 22 სექტემბერი) და მოეთხოვათ სიაში ცვლილების შეტანა (საქართველოს ორგანული კანონის - საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლი).

აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, არჩევნებამდე 8 დღით ადრე, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საარჩევნო სიებში ე.წ. მკვდარი სულების არსებობაზე საუბრობდნენ. მაგალითად, ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა ახალი პოლიტიკური ცენტრის - „გირჩის“ წევრმა, პოლიტიკური გართიანება „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის ყოფილმა კანდიდატმა თემურ ცამციშვილმა. სხვა პარტიების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მან საარჩევნო სიებში არსებული კონკრეტული გვარ-სახელებიც წარმოადგინა და პრობლების არსებობაში როგორც იუსტიციის სამინისტრო, ისე ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია დაადანაშაულა. მისი განმარტებით, ქუთაისის 48-ე საარჩევნო ოლქის სიებში 130 გარდაცვლილი იყო დაფიქსირებული[30].

ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლების მიზნით, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის, მე-5 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტები) საარჩევნო ადმინისტრაციას წელიწადში 4-ჯერ (1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს) საარჩევნო უფლების და ამავე უფლების არმქონე პირების შესახებ მონაცემებს გადასცემენ.

თუმცა, როგორც ამას პრაქტიკა გვიჩვენებს, სიების განახლების ინტენსივობა არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. საარჩევნო სიებში ჯერ კიდევ რჩებიან გარდაცვლილი პირები. შესაბამისად, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს, სიების სრულყოფის მიზნით, შესაბამისმა უწყებებმა ცესკოს განახლებული ინფორმაცია გადაუგზავნონ არჩევნებამდე რაც შესაძლებელია მცირე ხნით ადრე.

ამავდროულად, საარჩევნო სიების სრულყოფის მიზნით, საჭიროდ მიიჩნევა, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახს დაეკისროს შესაბამისი უწყების ინფორმირების ვალდებულება. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის მიმართ, აუცილებელია დაწესდეს ფინანსური სანქცია, ჯარიმის სახით. აღნიშნული დიდი ალბათობით უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა სიაში ხარვეზების შემცირებას.

ძალადობისა და წინასაარჩევნო აგიტაციის ხელშეშლის ფაქტები

საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მონაცემებით, წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 71 საქმეზე. მათ შორის: სსკ 125-ე მუხლით (ცემა - 25

[30]იხილეთ ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18900&lang=geo

ფაქტი), 125-ე და 150-ე მუხლებით (ცემა, იძულება – 1 ფაქტი); 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება - 29 ფაქტი), 188-ე მუხლით (ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით – 1 ფაქტი); 177-ე მუხლით (ქურდობა - 6 ფაქტი); 151-ე მუხლით (მუქარა - 4 ფაქტი); 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა – 1 ფაქტი); 162 პრიმა მუხლით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა – 1 ფაქტი); 164-ე პრიმა მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვა); 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება - 1 ფაქტი) და 19 - 109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა - 1 ფაქტი).

საარჩევნო სუბიექტების აქტივისტებზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებული ფაქტები ოპერატიულად მოწმდებოდა სამართალდამცველთა მხრიდან, მაგრამ მათი ინფორმაციით, უმეტესი ფაქტი არ დასტურდებოდა დაზარალებულების მხრიდან და გამოკითხული პირებიც უარყოფდნენ მსგავს ქმედებებს, რაც გამოძიების დაწყების საფუძველს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, 12 საქმეზე შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის, გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის 59 საქმეზე. 59 საქმიდან, 8 ოქტომბრის მდგომარეობით, 9 საქმეზე განხორციელდა კონკრეტული პირების მიმართ (სულ 11 პირი) სისხლის სამართლებრივი დევნა, მათ შორის – სსკ 125-ე მუხლით (ცემა) – 8 პირის მიმართ; 151-ე მუხლით (მუქარა) – 1 პირის მიმართ; და 162-ე პრიმა მუხლით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა) - 2 პირის მიმართ.

ამ საქმეებზე, სასამართლოს მიერ გამოყენებულია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები. მოცემულ 9 სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაცია ასეთია: 1. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის და წევრის ცემა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სპეციალისტის - საჯარო მოხელის მიერ; 2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის მიერ ამავე კომისიის წევრების („ქართული ოცნების“ წარმომადგენლების) ცემა; 3. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერის მიერ უჩაშონის ადმინისტრაციულ ერთეულში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის („ქართული ოცნების“ წევრის) ცემა; 4. სოფელ დიდინეძში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მიერ „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრების და მხარდამჭერების, მათ შორის ერთი

ახალგაზრდა გოგონას, წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ცემა; 5. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტის მიერ დამოუკიდებელი (უპარტიო) მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ცემა; 6. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წევრის მიერ „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის წევრის ცემა; 7. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერის მიერ პოლიტიკური გაერთიანების - „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის“ წევრის, მარნეულის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიმართ მუქარა; 8. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტისა და პოლიტიკური პარტია - „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისათვის“ აქტივისტის მიერ ერთმანეთის ცემის ფაქტი; 9. სოფელ გამარჯვებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის ცემის ფაქტი „ქართული ოცნების“ აქტივისტის მიერ. 59 საქმიდან 1 საქმეზე სს კოდექსის 19-109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) დაიწყო გამოძიება ინციდენტის საღამოსვე და გამოძიება ამჟამადაც მიმდინარეობს (პარლამენტარ გ. თარგამაძის ავტომანქანის აფეთქების საქმე)[31].

ამას გარდა, აღსანიშნავია რომ:

- დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თელავი-ყვარლის საარჩევნო ოლქში ვასილ კევლიშვილი თავის სააგიტაციო მასალის დაზიანების ფაქტებზე საუბრობდა და ხელისუფლებასა და სამართალდამცავებს დახმარებისთვის მიმართა. დეპუტატობის კანდიდატის თქმით, მისი საარჩევნო პლაკატები დაუდგენელმა პირებმა რამდენჯერმე ჩამოხიეს. თუმცა, ფაქტი მხოლოდ მას შემდეგ გაახმაურა, რაც აღნიშნული განმეორდა[32].
- მიმდინარე წლის 24 აგვისტოს, ღამის საათებში ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ბოტკოველის საარჩევნო ბანერი დააზიანეს. მაჟორიტარობის კანდიდატის განცხადებით, ბანერი ერთ-ერთი ადგილობრივის საცხოვრებელი სახლის კედელზე იყო განთავსებული[33].
- საარჩევნო კამპანიის ხელშეშლის მცდელობა დაფიქსირდა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში 5 სექტემბერს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის - სანდრა რულოვსის ამომრჩევლებთან შეხვედრისას ინციდენტი მოხდა. რამდენიმე პირი ხმაურით შეიჭრა იმ ადგილას, სადაც შეხვედრა ტარდებოდა. მათ სანდრა რულოვსს „ორგანოებით მოვაჭრე“ უწოდეს და შეხვედრის ჩაშლა სცადეს, მაგრამ მოსახლეობამ მათ ამის საშუალება არ მისცა. ნაციონალური მოძრაობის წევრების შეფასებით, ინციდენტი „ქართული ოცნების“ მიერ იყო ორგანიზებული.

---

[31] თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში

[32] ვასილ კევლიშვილმა აგრეთვე წარმოადგინა სააგიტაციო მასალის დაზიანების ფოტო მტკიცებულებები

[33] ნაციონალური მოძრაობის ბანერს შილდაში სავარაუდოდ იარაღი სამჯერ ესროლეს

- საარჩევო აგიტაციაში ხელის შეშლის თაობაზე განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლნისის მაჟორიტარობის კანდიდატმა სამირა ისმაილოვამ. მისი ინფორმაციით, პირველი შემთხვევა სოფელ ნახიდურში მოხდა, ხოლო მეორე შემთხვევა სოფელ მამხუტში განმეორდა“. სამირა ისმაილოვას თქმით, მაჟორიტარობის კანდიდატი 20-კაციან ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა სოფელ მამხუტში, სადაც მოსახლეობისთვის ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ პარტიის პროგრამის შესახებ[34].
- 2016 წლის 10 აგვისტოს გატეხეს „ეროვნული ფორუმის“ ნაძალადევის ოფისი, მეორე დღეს კი - ნაძალადევის მე-17 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, თამარ ციხისელის სახლი. რანდენადაც ცნობილი გახდა, ოფისიდან წაღებულია პარტიულ საქმიანობასთან და არჩევნებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ციხისელის სახლიდან კი არაფერი წაუღიათ, მათ შორის - არც ძვირფასეულობა. აღნიშნულ ფაქტს, პარტიის წარმომადგენლები პოლიტიკურ ანგარიშსწორებად, საარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლად აფასებდნენ[35] და დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნას მოითხოვდნენ, რაც საგამოძიებო ორგანოებმა ვერ შეძლეს.
- „ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობის“ ოფიციალურ საიტზე გარკვეული ტიპის ჰაკერული შეტევა განხორციელდა. როგორც პარტიის IT სამსახურის წარმომადგენლები აცხადებდნენ, სავარაუდოდ გავრცელდა ვირუსი. მათივე ცნობით, ზუსტად იდენტური შემთხვევები ფიქსირდებოდა წინა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც[36].
- პოლიტიკური მოძრაობა „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ გორის ოფისის ფასადი დილით მისულ პარტიის წევრებს რამდენიმე ადგილას შეღებილი დახვდათ. ოფისის ფასადზე ლურჯი საღებავით 41 იყო დაწერილი. პარტიის წევრებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა პარტიის წევრები დაკითხეს და ფაქტზე მოკვლევა დაიწყეს[37].
- გორში, სადგურის დასახლებაში გორის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ოქრუაშვილი მოსახლეობას ხვდებოდა, როცა ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლეს. დაიჭრა ოქრუაშვილის დაცვის წევრი კობა კოშაძე და პარტიის წევრი ბიძინა თომაშვილი[38]. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბრალი წაეყენა ერთ პირს.
- არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, 4 ოქტომბერს, თბილისში, აფეთქდა პარლამენტარ გივი თარგამაძის კუთვნილი ავტომობილი,

---

[34]იხილეთ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18879&lang=geo

[35]ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18849&lang=geo

[36]როგორც პარტიის პრესსამსახურში აცხადებდნენ, ეს შემთხვევები დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს და აგრეთვე პარტიის პროგრამის პრეზენტაციას

[37]იხილეთ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18864&lang=geo

[38]იხილეთ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18906&lang=geo

რომელსაც თარგამაძის პირადი მძღოლი მართავდა. მანქანაში მყოფ გივი თარგამაძესა და მის მძღოლს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება არ მიუღიათ. ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება[39]. ბრალი წაეყენა ორ პირს.

მსგავსი ხასიათის შემთხვევები, რაც ცალსახად შეიცავს მძიმე დანაშაულის ნიშნებს, მით უფრო წინასაარჩევნო პერიოდში, განსაკუთრებული საშიშროების მატარებელია. აუცილებლად მიიჩნევა საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის მხრიდან მსგავს ფაქტებზე ადეკვატური, სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება.

საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო ფაქტები

საანგარიშო პერიოდში საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების რამდენიმე სავარაუდო შემთხვევაც დაფიქსირდა. კერძოდ:

- თავისუფალი დემოკრატების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვახტანგ ბეჟიტაშვილი მუნიციპალიტეტის კასპის გამგებელს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებდა. ბეჟიტაშვილის თქმით, გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი სამსახურეობრივი ავტომობილით „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბთან მივიდა, რისი ამსახველი ვიდეომასალა ბეჟიტაშვილმა სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა[40].
- 2016 წლის 16 ივნისს ქალაქ რუსთავში დაგეგმილი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენა. მაჟორიტარობის კანდიდატების წარდგენას დაემთხვა უამინდობა. „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა მისულ მხარდამჭერებს მოუწოდეს, თავი წვიმისაგან იქვე იუსტიციის სახლისა და ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის შეეფარებინათ. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში აკრძალულია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების აღნიშნულ შენობებში შესვლის შემდეგ, შეკრებილ მოსახლეობას პოლიტიკური შინაარსის განცხადებებით მიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ[41].
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, 20 და 21 სექტემბერს, საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს Facebook-ის გვერდის საშუალებით, გავრცელდა პოლიტიკური

[39]აღნიშნულის თაობაზე, იმავე დღეს განცხადება გააკეთა გივი თარგამაძემ

[40] იხილეთ: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18899&lang=geo

[41]აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ

გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერი სააგიტაციო ინფორმაცია.
აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მსჯელობა უწყებაშორის კომისიაზეც წარიმართა, სადაც კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, სამინისტროს Facebook-ის გვერდიდან აღნიშნული ინფორმაცია წაიშალა და სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ინფორმაციის გამავრცელებელ პირებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრათ[42].

- საიას ინფორმაციით, მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში თბილისისა და საქართველოს რეგიონების მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით სმს შეტყობინებები დაეგზავნა, რომელთა საშუალებითაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების შესახებ.

ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენების ფაქტის გამოვლენის მიზნით, საიას წარმომადგენლებმა საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტიდან გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია, თუ რა პერიოდიდან არის განსაზღვრული აღნიშნული კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და ბიუჯეტის რომელი მუხლიდან მოხდა მომსახურების მიღება, აგრეთვე - ყველა შესაბამისი დოკუმენტის ასლი. მათ შორის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას არ ჰქონდა ბიუჯეტში წინასწარ განსაზღვრული თანხები სმს მომსახურების დასაფინანსებლად, მაგრამ განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ იანვარში ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების ცვლილება იმ მიზნით, რომ მომხდარიყო სმს სერვისის ღირებულების დაფარვა, რაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას წარმოადგენს[43].

ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, დაფიქსირდა კონკრეტული ფაქტები, რაც ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მოსაზრებით, შესაძლებელია, შეიცავდეს ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს. მათგან ყურადღება რამდენიმე შემთხვევაზე შეჩერდება:

- 2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს და მას მოქალაქეთათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს ხდის. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნად დასახელდა იმ სირთულეების აღმოფხვრა, რასაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების

[42] იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების თაობაზე
[43] იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების თაობაზე

რეგისტრაციის პროცესში აწყდებოდნენ. ცვლილების თანახმად, მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა; მოიხსნა გარკვეული ბარიერები, რაც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა. მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლის საშუალებით, მოქალაქეებს უფასოდ მიეცათ დოკუმენტაციის მოძიებას, სისტემატიზაციას, მედიაციასა და თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესაძლებლობა. ასევე უფასოდ ხორციელდება მიწის რეგისტრაცია და ნაკვეთზე საკუთრების უფლებებში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული სიახლე - გამარტივებული რეგისტრაცები რეალურად დაემთხვა წინასაარჩევნო პერიოდს, რაც იწვევს ეჭვს[44].

- წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ოფიციალურად გამოცხადებამდე 2 დღით ადრე 2016 წლის 6 ივნისს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განახორციელა ცვლილება, რომელიც მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამებისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცებას ეხებოდა. ცვლილების შედეგად დადგინდა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 20 აბიტურიენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგს მიიღებდა, მუნიციპალიტეტის გამგეობისგან დასაჩუქრდებოდა 500 ლარით. ასევე, განისაზღვრა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ობოლ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლის საფასურის გადახდაში დაეხმარებოდა და თითოეულ სტუდენტს 500-ლარიანი საგარანტიო ბარათი გადაეცემოდა. ცვლილებით გათვალისწინებულია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გადასახადის თანადაფინანსებაც, რომელსაც მიიღებენ ის სოციალურად დაუცველი და ობოლი სტუდენტები, რომელთა ოჯახი დარეგისტრირებულია სიღატაკის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ერთიან ბაზაში. ასევე, გამგეობის გადაწყვეტილებით, თვეში 60-დან 150 ლარამდე დახმარებას მიიღებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დაუნის სინდრომის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები. სოციალური პროექტების განსახორციელებლად გურჯაანის თვითმმართველობამ ჯამში 1 249 000 ლარი გამოყო[45].
- 2016 წლის აგვისტოში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნება“ მუშაობს ახალ პროგრამაზე, რომელიც სპეციალურად პენსიონერებზეა გათვლილი. ეს არის პენსიონერების დასაქმების პროგრამა, რომელიც გულისხმობს მათთვის განკუთვნილ საგადასახადო შეღავათებს იმ კომპანიებისთვის, რომელიც დაასაქმებს პენსიონერებს. ამასთან, ეს არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს არც პენსიის და არც სოციალური შეღავათების მოხსნას[46].
- გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნების“ გარდაბნის მაჟორიტარობის კანდიდატი სავალან მირზოევი საარჩევნო კამპანიას ტკბილეულით გაშლილი სუფრის თანხლებით მართავდა. მაჟორიტარობის

[44]ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18841&lang=geo
[45]იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია
[46]იხილეთ ინფორმაცია პროგრამის თაობაზე „ცხოვრება გრძელდება“

კანდიდატი მსგავსი შეხვედრის ფოტოებს ფეისბუკის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებდა. ფოტოებზე ასახულია 20-30 კაცზე გაშლილი სუფრა, სადაც წარმოდგენილი იყო ჩაი, ხილი და ტკბილეული. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გახდა ცნობილი, რომ მაჟორიტარობის კანდიდატს თავად ადგილობრივები გაუმასპინძლდნენ[47].

- ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, ექსმინისტრ ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდებას უყენებდა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მამუკა ნოზაძე. მან ბრიფინგზე ირაკლი ოქრუაშვილი და მისი თანაგუნდელები წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლის მოსყიდვაში დაადანაშაულა. ნოზაძე აცხადებდა, რომ მან პროკურატურას უკვე მიმართა და ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, დამდგარიყო ოქრუაშვილის და იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც „ამომრჩევლის მოსყიდვა სცადეს“[48].
- წინასაარჩევნო პერიოდში, მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების ცვლილებები განხორციელდა, რითაც ადგილობრივი ხელისუფლება შეეცადა 2016 წლის ბიუჯეტით, გათვალისწინებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთ პროგრამებზე გადაენაწილებინა, რომელთა განხორციელებაც მოსახლეობაში კმაყოფილებას, არჩევნებზე მათი მხარდამჭერების რიცხვის ზრდას გამოიწვევდა. მსგავსი ცვლილებები 2015 წლის ბიუჯეტში არ განხორციელებულა. ასეთი ცვლილებები წინასაარჩევნოდ, შესაძლოა, უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, მაგრამ თავისი არსით, საბიუჯეტო სახსრების საარჩევნო მიზნებისათვის გამოყენებას წარმოადგენს და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად განსაზღვრა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, შენახვა და მოვლა; გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპოლატაცია; ქუჩაში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა; კომუნალური ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი კორპუსების, გარეგანათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. ეს მაშინ, როდესაც 2015 წლის ბიუჯეტით, რომელიც არასაარჩევნო წელი იყო, პრიორიტეტების სათავეში ვხვდებით თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებას; მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების, საგანგებო სიტუაციებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის საკითხებს[49].

---

[47] ვრცლად: http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=18876&lang=geo

[48] იხილეთ ინფორმაცია ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის თაობაზე

[49] იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაცია

მოცემული პროექტებისათვის თანხის გაზრდა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ბადებს ეჭვს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოეყო ისეთი პროგრამების დაფინანსებაზე, რომელთა განხორციელებაც მოსახლეობაში კმაყოფილებას, საბოლოო ჯამში კი, არჩევნებზე მმართველი პარტიის მხარდამჭერთა ზრდას გამოიწვევდა.

- წინასაარჩევნო პერიოდში, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ასევე, ცნობილი გახდა, რომ პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქალაქ ბათუმში ახორციელებდა „სოციალური სახლების პროგრამას“, რომლის ფარგლებში პარტიის ერთ-ერთი წევრი, ლევან ვარშალომიძე, მეჯინისწყლის დასახლებაში მცხოვრებ პირებთან აფორმებებდა ინდივიდუალურ ხელშეკრულებებს. ხელშეკრულების თანახმად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია, წარმოდგენილი ლევან ვარშალომიძის სახით, იღებდა ვალდებულებას, რომ ქალაქ ბათუმში, სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას, განეხორციელებინა მრავალბინიანი სახლების მშენებლობა და მათი უსასყიდლოდ გადასცემა დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის[50]. საქართველოს საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს, რომ დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მეშვეობით საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა გადაცემის დაპირებით. ამასთანავე, ამომრჩევლის მოსყიდვა აკრძალულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასებით, არსებობს შესაძლებლობა, პარტიის ქმედება შეიცავდეს საარჩევნო კოდექსით აკრძალულ ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს.

უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის შეფასება

სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია იუსტიციის მინისტრის 29 ივნისის ბრძანებით შეიქმნა. მის მიზანს წარმოადგენდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება და ამ გზით თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა. კომისიის სხდომები ტარდებოდა რეგულარულად, ორ კვირაში ერთხელ, ხოლო

[50]იხილეთ საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ინფორმაცია ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების არსებობის თაობაზე

სექტემბრის დასაწყისიდან - კვირაში ერთხელ. შეხვედრებს ესწრებოდნენ კომისიის წევრები (საქართველოს შინაგან საქმეთა; საგარეო საქმეთა; ფინანსთა; თავდაცვის; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის; განათლებისა და მეცნიერების; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრების მოადგილეები; აგრეთვე, მთავარი პროკურორისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეები; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი), კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უწყებათაშორისმა კომისიის სხდომების მიმდინარეობისას გამოიკვეთა პოლიტიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შემთხვევები. კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც ხელი შეუწყო წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს რეალურად ჰქონდათ შესაძლებლობა, უშუალოდ დაეყენებინათ საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული, მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები კომისიის წინაშე და კომისიის წევრებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით. კომისიამ გამოსცა არაერთი პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაცია საარჩევნო პროცესის სხვადასხვა მონაწილის მიმართ. საბოლოოოდ, უწყებათაშორისმა კომისიამ განიხილა 100 შემთხვევაზე მეტი. შემთხვევების უმრავლესობა ეხებოდა საჯარო მოხელეების მხრიდან აკრძალულ აგიტაციას, პლაკატების დაზიანებას და პარტიათა აქტივისტებზე ძალადობას. კომისიის სხდომები, ძირითადად, კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა, მაგრამ კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად, პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა განხილვების პოლიტიკურ დებატებში გადაყვანის მცდელობას. ძირითადი პრობლემა და საფრთხე, რასაც შეიძლებოდა, მოჰყოლოდა გამწვავებები, იყო კონტრაქციები და პროვოკაციები, რომელთა პრევენციის მიზნითაც კომისიამ გამოსცა რეკომენდაციები და მიმართა პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო სუბიექტებს), გაეცათ მკაფიო მითითება, რომ მათ აქტივისტებს თავი შეეკავებინათ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებისაგან კონტრაგიტაციის, შეფასებების გაკეთების თუ სიტყვით გამოსვლის მიზნით, რათა გამორიცხული ყოფილიყო პოლიტიკურ ნიადაგზე თუნდაც სიტყვიერი დაპირისპირება, და კანდიდატებს შეფერხების გარეშე მიცემოდათ ამომრჩეველთან კონტაქტის საშუალება[51].

[51]იხილეთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიში

უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის დადებითი შეფასებისა და მის მიერ გამოცემული, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რეკომენდაციების მიუხედავად, არაერთი დარღვევა რეკომენდაციების შემდგომაც დაფიქსირდა.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ საქმიანობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან შეწყვიტა.

კენჭისყრის დღის შეფასება

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებს ადამიანის უფლებათა ცენტრის 41 დამკვირვებელი 4 სამიზნე რეგიონში დააკვირდა. ცენტრის მონიტორები და ჟურნალისტები იმყოფებოდნენ: შიდა ქართლის კონფლიქტისპირა სოფლებსა და ქალაქ გორში; იმერეთის რეგიონში, საჩხერის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში; ქვემო ქართლში, გარდაბნის, მარნეულისა და ბოლნისის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებსა და ქალაქ რუსთავში; კახეთის რეგიონში - პანკისის ხეობაში; დამკვირვებლების ნაწილი მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებზე იყო მიმაგრებული, ნაწილი კი მობილურ ჯგუფებში გადანაწილდა და უბნიდან უბანზე მოძრაობდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ-გამოცემა www.humanrights.ge აქტიურად მუშაობდა და საზოგადოებას მყისიერად აწვდიდა ინფორმაციას იმ დარღვევების შესახებ, რასაც უბნებზე დამკვირვებლები აფიქსირებდნენ. კერძოდ, დღის განმავლობაში გამოქვეყნდა ოცდაოთხი სტატია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი მონაწილეობას იღებდა ფონდ „ღია საზოგადობა - საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ საარჩევნო მედიაცენტრში მოწყობილ არასამთავრობო ორგანიზაციების ბრიფინგებში. იგი ყოველ 4 საათში გასცემდა ინფორმაციას, კენჭისყრის მიმდინარეობისას საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი დარღვევებისა და ზოგადი ტენდენციების შესახებ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ზოგადი შეფასებით, არჩევნები ძირითადად მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა. დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ გაყალბების მიზანმიმართული მცდელობა. დაფიქსირებულ ცალკეულ დარღვევებს არ შეუძლიათ, არსებითი გავლენა მოახდინონ არჩევნების საბოლოო შედეგებზე. დარღვევების აბსოლუტური უმრავლესობა გამოწვეულია საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა არაკვალიფიციურობით, საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნით. კომისიის წევრები, უმეტესწილად, ითვალისწინებდნენ დამკვირვებელთა შენიშვნებსა და მითითებებს. ამასთან, მცირე გამონაკლისების გარდა, კომისიის თავმჯდომარეები საშუალებას აძლევდნენ დამკვირვებლებს, სრულფასოვნად განეხორციელებინათ თავიანთი უფლებამოსილება. დარღვევებს, ძირითადად, ჰქონდა პროცედურული ხასიათი და როგორც აღინიშნა, გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებით. ეს პრობლემები განსაკუთრებით

ქვემო ქართლის რეგიონში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში გამოვლინდა, სადაც კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობის გამო საარჩევნო უბნებზე იქმნებოდა დაძაბულობა და ზოგჯერ კონფლიქტები.

დადებითი ტენდენციის სახით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მარნეულის #36 საარჩევნო ოლქში (სადაც როგორც წინა წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, არჩევნებში ყველთვის მმართველი პარტია ლიდერობდა), პირველ ტურში, უპირატესობა მოიპოვა ოპოზიციურმა პარტიამ [52]. თუმცა, საბოლოოდ, მეორე ტურში გამარჯვება მმართველი გუნდის წარმომადგენელმა მოიპოვა.

არჩევნების დემოკრატიულობასა და პლურალიზმზე მიუთითებს ისიც, რომ საზღვარგარეთ, კონკრეტულად კი ავღანეთში გახსნილი ორი საარჩევნო უბნიდან, ერთზე (ბაგრამის საარჩევნო უბანი) გამარჯვება მოიპოვა მმართველმა პარტიამ, ხოლო მეორეზე (მაზარი შარიფის საარჩევნო უბანი) ოპოზიციურმა პარტიამ-ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ[53].

გარდა საარჩევნო კომისიის წევრთა გამოკვეთილი არაკვალიფიციურობისა, შემაშფოთებელ ტენდენციად მიიჩნევა საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიების კოორდინატორებისა და აგიტატორების გადამეტებული აქტიურობა და ამომრჩეველთა კონტროლის მცდელობა[54]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიათა კოორდინატორების ყოფნას და აგიტაციას, საარჩევნო გარემოსათვის ხელის შემშლელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითქმის ყველა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა საარჩევნო სუბიექტების კოორდინატორების მობილიზებას, რომლებიც აღწერდნენ მოსულ ამომრჩევლებს. რამდენიმე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა აგიტაციასაც. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბანთან შეკრებილი სხვადასხვა პარტიების აგიტატორები, კოორდინატორები და მხარდამჭერები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. კონკრეტულ შემთხვევებში, მსგავსი დაპირისპირება ფიზიკური შეხლა-შემოხლით დასრულდა[55]. ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, აღნიშნული ინციდენტები ხელს უშლის საარჩევნო პროცესში მოქალაქეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენას.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 7 ოქტომბრის 20:00 საათიდან 9 ოქტომბრის 20:00 საათამდე დროებით ჩაკეტა ე. წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტი. გადაწყვეტილება დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების კომიტეტმა მიიღო,

---

[52] იხილეთ არჩევნების პირველი ტურის შედეგები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: cec.gov.ge

[53] იხილეთ არჩევნების შედეგები და საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმები; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: cec.gov.ge

[54] მაგალითისთვის იხილეთ ინფორმაცია ამომრჩეველთა კონტროლის მცდელობის თაობაზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18922&lang=geo

[55] მაგალითისთვის, იხილეთ ინფორმაცია სოფელ ნიქოზში მომხდარი ინცინდენტის თაობაზე: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18931&lang=geo

რაც საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდა. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის მიუხედავად, ისევე როგორც წინა სხვა არჩევნებისას, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან მოქალაქეები ცდილობდნენ, გადმოსულიყვნენ საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ სოფლებში და მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ადამიანის უფლებათა ცენტრის სადამკვირვებლო ჯგუფის შეტყობინებით, #53 საარჩევნო ოლქის #53.50.46 საარჩევნო უბნის კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ვერ შეძლო ოკუპირებული ტერიტორიის სოფელ ქარძმანიდან გადმოსვლა და საარჩევნო უბანზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება[56].

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯრიის #53.50.46 უბანზე ხმის მისაცემად სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ტყისა და მდინარის გავლით გადმოვიდა ამომრჩეველი, რომელსაც არ გააჩნდა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რის გამოც მან ვერ ისარგებლა ხმის მიცემის უფლებით.

არჩევნების დღის ტენდენციების შეფასებისას, ასევე აუცილებელია ითქვას, რომ საარჩევნო უბნებზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავდნენ კონკრეტული პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას[57].

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გამოიკვეთა რიგი საკანონმდებლო ხარვეზები, რაც აგრეთვე ხელს უშლის საარჩევნო გარემოს დემოკრატიული პროციპების შესაბამისად წარმართვას და რაზეც წინამდებარე ანგარიშში გამახვილდება ყურადღება.

ქვემოთ, თემატურად მიეთითება ის კონკრეტული დარღვევები და ხარვეზები, რაც კენჭისყრის დღის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს.

კენჭისყრის შენობის მოწყობა

კენჭისყრის შენობის მოწყობის თვალსაზრისით, საქართველოს საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს კონკრეტულ სტანდარტებს. მათ შორის, კენჭისყრის შენობაში:

ა) ხმის მიცემის ადგილი იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ფარულობა. ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 1 ხმის მისაცემი ადგილისა, სადაც უნდა იყოს 1 კალმისტარი;

ბ) უნდა გამოიყოს ადგილები ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და სპეციალური კონვერტების განთავსებისათვის;

---

[56] [იხილეთ ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაცია]

[57] მაგალითად, მოწოდებული ინფორმაციით, ამგვარ ქმედებას ეწეოდნენ შემდეგი ორგანიზაციები: “მწვანე დედამიწა“, „თავისუფალი ზონა“.

გ) თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი;

დ) თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოიკრას ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებული ვერსიები, პარტიული სიები, კანდიდატთა სიები, ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, აგრეთვე ამ კანონიდან ამონარიდი, თუ რა შემთხვევაშია ბათილი საარჩევნო ბიულეტენი, და კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (ოქმები)[58].

მიუხედავად ნათელი რეგულაციის არსებობისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ინფორმაციით, ამ მიმართულებით გამოიკვეთა დარღვევები. კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში, #42.32.58 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ოთახი იყო პატარა ზომის, დაახლოებით 12-16 კვადრატული მეტრი. აღნიშნული სივრცე არ იყო საკმარისი არჩევნების ნორმალურ რეჟიმში წარმართვისათვის.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურთაში #33.23.15 საარჩევნო უბანზე, მართალია, საარჩევნო ოთახი იყო დამაკმაყოფილებელი ზომის, მაგრამ არ იყო გამოყოფილი ადგილი კომისიის წევრებისათვის შესვენების მიზნით, რის გამოც მათ უწევდათ საკვების მიღება იმავე სივრცეში, სადაც ტარდებოდა ხმის მიცემის პროცედურა. აღნიშნული უნდა შეფასდეს როგორც საარჩევნო პროცესის შემაფერხებელი გარემოება.
- გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის #42.32.58 უბანზე, დამკვირვებელთა მისვლის დროისათვის საარჩევნო უბანზე არ იყო გამოკრული სადემონსტრაციო ოქმი. აღნიშნულის თაობაზე საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია სადემონსტრაციო ოქმის გამოკვრის აუცილებლობის თაობაზე. დარღვევა გამოსწორდა დამკვირვებელთა მითითების შემდგომ.
- გორის რაიონის 41-ე ოლქის #41.32.01 საარჩევნო უბანზე ასევე სრულყოფილად არ იყო შევსებული სადემონსტრაციო ოქმი, არ იყო მითითებული მიღებული ბიულეტენების რაოდენობა. კომისიის თავმჯდომარემ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითებისთანავე აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი.
- მარნეულის რაიონის სოფელ თაქალოში #35.22.44 საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმი არ გამოიკრა დღის 12:00 საათამდე.
- გორის მუნიციპალიტეტის 41 ოლქის #41.32.01 საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმები არ იყო სრულყოფილად შევსებული, კერძოდ არ იყო მითითებული მიღებული ბიულეტენების რაოდენობა. დაფიქსირდა საარჩევნო ყუთთან ერთზე მეტი ამომრჩევლის, ხოლო რეგისტრატორის მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩევლის ყოფნის ფაქტი. აღნიშნული დარღვევები კომისიის თავმჯდომარემ აღმოფხვრა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითებისთანავე.

[58] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 58. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge

- გორის მუნიციპალიტეტის 41 ოლქის #41.32.13 საარჩევნო უბანზე ადგილი ქონდა სადემონსტრაციო ოქმის სრულყოფილად შეუვსებლობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითებით, აღნიშნული დარღვევა აღმოიფხვრა დაუყოვნებლივ.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის აზიზკენდის #35.22.14 უბანში სადემონსტრაციო ოქმი და ამომრჩეველთა სიები არ იყო უბანზე გაკრული. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მოთხოვნის შემდეგ ოქმები გააკრეს;
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში, #42.32.58 საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმი გაიკრა დაგვიანებით - 10 საათსა და 28 წუთზე.

ასევე პრობლემაა შშმ პირთათვის არაადაპტირებული საარჩევნო უბნები. მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს #36.22.50 საარჩევნო უბანში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველი ეტლით შესვლას ვერ ახერხებდა. იგი საარჩევნო უბანზე მხოლოდ რამდენიმე პირის დახმარებით შევიდა და ამგვარად მიეცა კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

საარჩევნო უბნის გახსნა

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა დეტალურად განსაზღვრავს კონკრეტული მოქმედებების დროს. მათ შორის დადგენილია, რომ საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე[59]. ნათელი რეგულაციის არსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა, იმ უბნებზე, სადაც დაკვირვებას აწარმოებდა, ამ თვალსაზრისითაც დააფიქსირა დარღვევები.

- ქ. გორში # 41.32.22 უბანი კანონით განსაზღვრულ დროზე გვიან - 08:15 წთ-ზე გაიხსნა. აღნიშნული ფაქტის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლმა საჩივარი დაწერა, ასევე შენიშვნის სახითაც ჩაწერა ჩანაწერთა წიგნში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეფასებით, დარღვევა, ძირითადად, გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობით და პროცედურების სრულყოფილად არცოდნით. უბნის დაგვიანებით გახსნამ გამოიწვია უკმაყოფილება უბანში მოსულ ამომრჩევლებში, ასევე - დამკვირვებლებშიც.
- გორის #42.32.92 საარჩევნო უბანი სოფელ ტყვიავში აგრეთვე 13 წუთის დაგვიანებით გაიხსნა.

ამომრჩეველთა მარკირება

როგორც ამას საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს, ყველა საარჩევნო უბანში ხორციელდება ამომრჩეველთა მარკირება, რაც ითვალისწინებს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი ქიმიური საღებავის

[59] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე (აღნიშნული მოქმედების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში – მარჯვენა ხელის სხვა თითის ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას – ასეთივე წესით მარცხენა ხელზე). მარკირების შემოწმების პროცედურას ამომრჩეველი გადის კენჭისყრის ოთახში შესვლისას საარჩევნო კომისიის შესაბამის წევრთან, რომელიც სპეციალური ხელსაწყოთი აშუქებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აქვს, აძლევს მას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას აეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა და მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში[60]. მარკირების პროცედურის ჩატარება მიიჩნევა არჩევნების სამართლიან რეჟიმში წარმართვის ერთ-ერთ წინაპირობად. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ინფორმაციით, დაფიქსირდა რიგი დარღვევები ამომრჩეველთა მარკირების პროცედურასთან მიმართებით.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის #35.22.14 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელი კენჭისყრის შენობაში შესვლისას სპეციალური ხელსაწყოთი არ ამოწმებდა ამომრჩევლის მარკირებას. ამავე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელი რიგ შემთხვევებში მხოლოდ მარჯვენა ხელზე, რიგ შემთხვევებში კი მხოლოდ მარცხენაზე ამოწმებდა ამომრჩევლის მარკირებას; ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკირვებლის მითითების შემდეგ, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.37 საარჩევნო უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი ხმის მისაცემად მოსულ მოქალაქეებს პროცედურის დაცვით არ უმოწმებდა მარკირების არსებობას. რიგ შემთხვევებში იგი ულტრაიისფერ ფარანს ანათებდა არა ხელზე, არამედ პირადობის მოწმობებზე; ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელის შენიშვნაზე მან განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, მარკირება ამგვარად უნდა შემოწმებულიყო. მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მას განუმარტა მარკირების წესები, გარკვეული დროით ხარვეზი გამოსწორდა, მაგრამ მოგვიანებით, დარღვევა განმეორდა. გარდა ამისა, კომისიის წევრი აცხადებდა, რომ პირადობის მოწმობების არქონა დაბრკოლებას არ წარმოადგენდა, რადგან მოქალაქეებს პირადად იცნობდა. იმავე საარჩევნო უბანში შემოდიოდნენ მარკირებული მოქალაქეები, რომელთაც უკვე მიცემული ჰქონდათ ხმა. დარღვევების არსებობის მიუხედავად, აღნიშნულ უბანზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, კომისიის წევრების ზეწოლის შედეგად, არ მიეცა საჩივრის დაფიქსირების შესაძლებლობა.
- ბოლნისის რაიონის სოფელ აკაურთაში, #33.23.15 საარჩევნო უბანზე, დღის პირველ ნახევარში, აგრეთვე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პირი,

[60] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 64 . ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

რომელსაც ევალებოდა მარკირების შემოწმება, მოვალეობას სრულყოფილად არ ასრულებდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს ჰქონდათ მარკირების შემოწმების გარეშე შესვლის მცდელობები და კომისიის წევრმა არ მოახდინა მყისიერი და სათანადო რეაგირება. აღნიშნულის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა, კომისიის წევრებს, ისევე როგორც კომისის თავჯდომარეს, მისცა სიტყვიერი შენიშვნა, რის შემდეგაც მსგავსი დარღვევები აღარ განმეორებულა.

- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ სამტრედოს N 33.23.46 უბანზე კომისიის წევრი, რომელსაც ევალებოდა მარკირების შემოწმება, აგრეთვე არასრულყოფილად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნის შემდეგ დარღვევა აღარ განმეორებულა.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის 50-ე ოლქის # 53.50.43 უბანზე ნაკადის მომწესრიგებელის მიერ სათანადოდ არ ხდებოდა მარკირების შემოწმება ულტრაიისფერი სხივებით (კერძოდ, მომწესრიგებელი ფანარს ანათებდა პირადობის მოწმობას).
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.38, სოფელ აღმამედლოს #35.22.23, ასევე სოფელ აღმამედლოს #35.22.77 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელი რიგ შემთხვევაში მხოლოდ მარჯვენა ხელზე ამოწმებდა ამომრჩევლის მარკირებას, რიგ შემთხვევაში კი - მხოლოდ მარცხენაზე. აგრეთვე, მარკირების პროცედურა წინ უსწრებდა პირადობის მოწმობის წარმოდგენის მოთხოვნას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მითითების შემდეგ, მარკირების პროცედურის ჩატარება წესების დაცვით გაგრძელდა;
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.38 უბანზე აგრეთვე დაფიქსირდა ბიულეტენის გადაცემის შემთხვევა მარკირების პროცედურის გაუვლელად.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის N 35.22.46 საარჩევნო უბანზე, სოფელ კირაჩ-მუღანლოში, კენჭისყრის შენობაში შესვლისას ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი რიგ შემთხვევებში კონკრეტულ მოქალაქეებს უშვებდა მარკირების პროცედურის გავლის გარეშე.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცის #42.32.38. საარჩევნო უბანზე ნაკადის მომწესრიგებელი მოვალეობის ყურადღებით და ჯეროვნად არ ასრულებდა. მან საარჩევნო უბანზე შემოუშვა პირი, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობა უკვე ჰქონდა მიღებული. აღნიშნულ დარღვევაზე დამკვირვებლმა დაწერა საჩივარი.

კენჭისყრის ჩატარება

კენჭისყრის ჩატარების პროცესში, გამოიკვეთა რიგი, სხვადასხვა ხასიათის პროცედურული დარღვევები, რაც ხელს უშლის არჩევნების სამართლებრივ

რეჟიმში წარმართვას და საფრთხეს უქმნის კანონმდებლობის მოთხოვნათა სრულყოფილ შესრულებას. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.38 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ნაკადის მომწესრიგებელი საარჩევნო უბანზე უშვებდა კანონით დადგენილზე მეტ ამომრჩეველს. ამავე უბანზე ხმის მიცემის მსურველ სამ მოქალაქეს აღმოაჩნდა მარკირება. ამომრჩევლებმა განმარტეს, რომ შეცდომით მარკირება გაიარეს სხვა უბანზე, სადაც რეალურად არ იყვნენ ამომრჩეველთა სიაში. ამიტომ იმ უბანზე, მარკირების მიუხედავად, მათ არ მიეცათ ხმის მიცემის შესაძლებლობა. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნულ ამომრჩევლებს ნება დართო, დაეფიქსირებინათ საკუთარი არჩევანი. ამავე უბანზე, თავმჯდომარის დავალებით, საარჩევნო უბნის გარეთ ხმის მიცემის უფლება მიეცა ამომრჩეველს, რომელსაც ქვედა კიდურები არ ქონდა და ვერ ახერხებდა შემოსვლას საარჩევნო ოთახში არჩევანის დასაფიქსირებლად. დამკვირველისაგან მიღებული ცნობით, კომისიის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა კანონდარღვევას და რეგისტრატორს სთხოვა, უბნის გარეთ გაეტანა რეგისტრაციისთვის საჭირო ნივთები. ცენტრის დამკვირვებელმა შენიშვნა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში.

ამასთან, საარჩევნო უბანზე რეგისტრატორების მაგიდასთან არ იყო მითითებული ანბანის მიხედვით, თუ რომელ მათგანთან უნდა მისულიყო ამომრჩეველი, რაც იწვევდა პროცესის შეყოვნებას. დამკვირვებლის მითითების შემდეგ, რეგისტრატორებთან უზრუნველყვეს სიის ანბანის რიგით განლაგება.

ამავე უბანზე, ერთ-ერთმა რეგისტრატორმა ამომრჩეველს არ მოსთხოვა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ისე გაატარა რეგისტრაციაში და გადასცა ბიულეტენი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელის პრეტენზია დაფიქსირდა ჩანაწერთა წიგნში. ამასთან, მარკირებაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოეხდინა ფარნის სწორი გამოყენება, ხოლო ერთ-ერთ ამომრჩეველს, მეორედ მიეცა კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობა. აღნიშნულის თაობაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაარეგისტრირა საჩივარი. ამავე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამომრჩეველს შეყვა კაბინაში და აზერბაიჯანულად უთითებდა ბიულეტენში მითითებულ სიაზე. დამკვირვებლის მითითების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დატოვა კაბინა. დარღვევის თაობაზე დამკვირვებელმა შენიშვნა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში.

- მარნეულის მუნიციპალტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.37 საარჩევნო უბანზე, ნაკადის მომწესრიგებელი არ უზრუნველყოფდა მოქალაქეების ეტაპობრივად შეშვებას საარჩევნო უბანზე, რის გამოც იქმნებოდა რიგები და ხელი ეშლებოდათ ხმის მისაცემად უბანში მყოფ მოქალაქეებს. ამასთან, მოქალაქეების მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტის ზედამხედველი. იგი ჯეროვნად არ ასრულებლდა საკუთარ მოვალეობას. დროის

კონკრეტულ მონაკვეთებში არავინ ახორციელებდა საარჩევნო ყუთის უსაფრთხოების კონტროლს.

- საჩხერის მუნიციპალიტეტის 50-ე ოლქის # 53.50.43 უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც უბანზე მისულ ამომრჩეველს არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. კომისიის წევრების მხრიდან გამოვლინდა მცდელობა, მოქალაქისათვის დაერთოთ ნება პირადობის მოწმობს გარეშე გაეკეთებინა არჩევანი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიუთითა კომისიის წევრებს, რომ მსგავსი ქმედება წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო აქტს.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაპალას # 33.23.40 საარჩევნო უბაზე კომისიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთან ერთად კაბინაში შესვლას. ამავე უბანზე ნაკადის მომწესრიგებელმა ვერ დაარეგულირა ამომრჩეველთა ნაკადი, რის გამოც ამომრჩევლები უბანზე შეცვივდნენ. ამ დროს კომისიის თავმჯდომარემ მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა[61].
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მერეთის #42.32.51 უბანზე კომისიის ერთ-ერთმა წევრმა საარჩევნო უბანი ისე დატოვა, რომ არ მოახდინა საკუთარი უფლებამოსილების სხვა წევრისთვის გადაცემა. აღნიშნულის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიუთითა კომისიას, რაც კომისიამ გაითვალისწინა. აღსანიშნავია, რომ ამავე უბანზე ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის დამკვირვებელი იმყოფებოდა სამკერდე ნიშნის გარეშე.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯრიის #53.50.46 უბანზე იმყოფებოდა ერთი საარჩევნო სუბიექტის - „ქართული ოცნების“ ორი წარმომადგენელი. დამკვირვებლის მითითების შემდგომ ერთ-ერთმა დატოვა უბანი. ამავე უბანზე საარჩევნო ყუთის მეთვალყურემ დატოვა ყუთი ისე, რომ არ მოითხოვა სხვა კომისიის წევრის მიერ ჩანაცვლება და ჩანაწერთა წიგნში მითითება. აღნიშნულის თაობაზე შენიშვნა გაკეთდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ. ამავე უბანზე რეგისტრატორმა გამოთქვა სურვილი, რომ ბიულეტენებს წინასწარ დაუსვამდა ბეჭედს, დროის მოგების მიზნით, რაც აგრეთვე შენიშვნის სახით დაფიქსირდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯრიის # 53.50.45 უბანზე იმყოფებოდა ერთი საარჩევნო სუბიექტის („თოფაძე-მრეწველები“) ორი წარმომადგენელი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდგომ, ერთ-ერთმა დატოვა უბანი. ამავე უბანზე არ იყო მითითება, რომელ რეგისტრატორთან უნდა მისულიყო ამომრჩეველი (ანბანის მიხედვით), რაც უბანზე ამომრჩეველს დიდხანს აყოვნებდა.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის №53.50.47 უბანზე იმყოფებოდა ერთი საარჩევნო სუბიექტის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან) ორი წარმომადგენელი. ადამიანის უფლებათა ცენტრის მითითების შემდგომ, ერთ-

[61]ვრცლად: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18929&lang=geo

ერთმა დატოვა უბანი. დღის განმავლობაში იდენტური დარღვევა არ განმეორებულა.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში #35.22.44 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორები არ ამოწმებდნენ ამომრჩეველთა სიაში და წარმოდგენილ დოკუმენტში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. ამავე უბანზე რეგისტრატორმა ერთ-ერთ ამომრჩეველს ბიულეტენები რეგისტრატორის ბეჭდისა და თავისი ხელმოწერის გარეშე გადასცა. თავმჯდომარის განცხადებით, მნიშვნელობა არ ჰქონდა დამოწმების დროს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი. ამავე უბანზე რეგისტრატორები რამდენიმე ბიულეტენზე წინასწარ აკეთებდნენ ხელმოწერას და უსვამდნენ ბეჭედს დროის მოგების მიზნით; კომისიამ არ დალუქა საარჩევნო ყუთის ჭრილი; დამკვირვებელმა გასცა მითითება, შეწყვეტილიყო აღნიშნული ქმედებები, რაც შემდგომში აღარ გაგრძელებულა.
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის #42.32.64 უბანზე პროცედურული საკითხი მოითხოვდა კომისიის წევრის მიერ დაშვებული ტენიკური შეცდომიდან გამომდინარე, ახსნა-განმარტების დაწერას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების მიუხედავად, კომისიის თავმჯდომარემ ეს არ გაითვალისწინა, რის თაობაზეც დაიწერა საჩივარი. შედეგად, კომისიის თავმჯდომარემ დაწერა ახსნა-განმარტება მითითებულ ტექნიკურ შეცდომასთან დაკავშირებით.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ აკაურთაში #33.23.15 საარჩევნო უბანზე დილის საათებში მოქალაქეები ცდილობდნენ ერთობლივად მისულიყვნენ საარჩევნო ყუთთან. შესაბამისად იყო საფრთხე, დარღვეულიყო საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა, რომლის თანახმად, საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება; აღნიშნულის შესახებაც, კომისიის წევრებს ისევე როგორც მოქალაქეებს, მიეცათ შენიშვნა, რის შემდეგაც დარღვევა აღარ განმეორებულა.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აღმამედლოს #35.22.77 უბანში თითოეული რეგისტრატორის მაგიდასთან იდგა 3-4 ამომრჩეველი, რაც არეულობას ქმნიდა;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერთაკარში, N 33.23.16 საარჩევნო უბანზე რეგისტრატორის მხრიდან ადგილი ჰქონდა ერთი-ერთი ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე რეგისტრაციის მცდელობას.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ აზიზკენდის #35.22.14 უბანზე კენჭისყრის ოთახში შესვლას ცდილობდა პირი სამკერდე ნიშნის გარეშე, რომელიც აცხადებდა, რომ იყო ე.წ. აგიტატორი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოთხოვნით, იგი არ დაუშვეს კენჭისყრის შენობაში.

გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის შესაძლებლობას. კერძოდ,

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ამომრჩეველთა (გარდა კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლებისა) ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე, თუ:

ა) ამომრჩეველს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა;

ბ) ამომრჩეველი პატიმრობაში იმყოფება;

ბ1) ამომრჩეველი ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფება;

გ) ამომრჩეველი სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;

დ) ამომრჩეველი:

დ.ა) მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული;

დ.ბ) ამ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული პირია და კენჭისყრის პერიოდში განსაკუთრებული სამსახურებრივი პირობების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ტოვებს სამუშაო ადგილს;

დ.გ) მსახურობს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში, პენიტენციურ დეპარტამენტში ან პენიტენციურ დაწესებულებაში და სამსახურის პირობების გამო სამუშაო ადგილის დატოვება არ შეუძლია;

ე) იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას[62].

ადამიანის უფლებათ ცენტრის დამკვირვებლებმა გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებით დააფიქსირეს შემდეგი დარღვევები:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის 35-ე ოლქის, სოფელ აზიზკენდის #35.22.14 უბანზე გადასატან საარჩევნო ყუთში არ მოათავსეს საკონტროლო ფურცელი, რაზეც დაიწერა საჩივარი. საჩივრის რეგისტრაციის შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ საკონტროლო ფურცელი მოათავსა გადასატან ყუთში.

საკონტროლო ფურცლების კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება უმნიშვნელოვანესია არჩევნების გაყალბების თავიდან აცილებისათვის. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკონტროლო ფურცელი ივსება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი თავსდება ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ, ერთი კი ინახება კომისიის თავმჯდომარესთან საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით. საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერს პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი; მათზე

[62] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 33 . ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

აღინიშნება საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩევლის მონაცემები[63].

- მარნეულის მუნიციპალიტეტის 35-ე საარჩევნო ოლქის, სოფელ ქეშალოს, #35.22.38 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნში გადასატანი ყუთის წაღების დროდ დააფიქსირა 08:59 საათი, მაშინ როდესაც რეალურად გადასატანი ყუთი საარჩევნო ოთახიდან გაიტანეს 09:20 სთ-ზე. აღნიშნული დარღვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეიტანა ჩანაწერი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

ბიულეტენებთან დაკავშირებული საკითხები

2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მსგავსად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირდა ბიულეტენებთან დაკავშირებული დარღვევები. კერძოდ:

- რიგ საარჩევნო უბნებზე მიღებული ბიულეტენების რაოდენობა ნაკლები იყო სიაში არსებული ამომრჩევლის რაოდენობაზე. უდავოა ის, რომ არც ერთ უბანზე არ ფიქსირდება ყველა ამომრჩევის მიერ ხმის მიცემა, თუმცა მნიშვნელოვანია, შესრულდეს კანონით დადგენილი მოთხოვნები, თუნდაც მათ მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა გააჩნდეთ; აცილებული იყოს ყველა რისკი, რაც შეიძლება, შეექმნათ ამომრჩევლებს კენჭისყრის პროცესში.
- ქვემო ქართლის რეგიონში, მარნეულის მუნიციპალიტეტის 35-ე საარჩევნო ოლქის, სოფელ ქეშალოს, # 35.22.38 საარჩევნო უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნებისას ცნობილი გახდა, რომ ერთი ბიულეტენი იყო დაზიანებული. ვინაიდან აღნიშნულის თაობაზე საარჩევნო კომისიამ რეაგირება არ მოახდინა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მათ მოუწოდა შეესრულებინათ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა - ბიულეტენისთვის ჩამოეჭრათ კუთხე და დაეწერათ „გაფუჭებულია“[64].

ხმის დათვლა

ამომრჩეველთა ხმების დათვლის პროცესი, ძირითადად, ობიექტურად და სამართლიანად წარიმართა. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დადებით მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ დამკვირვებლებს ჰქონდათ

---

[63] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 61. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

[64] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, უნდა ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

სრული შესაძლებლობა, შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ ხმის დათვლის პროცესს, განსხვავებით წინა საპარლამენტო არჩევნებისგან, როდესაც დამკვირვებლებს დიდწილად არ ეძლეოდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კომისიის წევრთა მიერ ძირითადად დაცული იყო საარჩევნო კოდექსის 67–ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. კერძოდ, კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით არჩევდა არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან, ურთიერთშეთანხმებით, არჩევდნენ არაუმეტეს ორ მეთვალყურეს. დამკვირვებლების მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მათგან 2 მეთვალყურის წილისყრით გამოვლენას ახდენდა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ძირითადად, სათანადო წესების დაცვით მიმდინარეობდა საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები, ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა, საარჩევნო ყუთის გახსნა, ბიულეტენების დახარისხება და დათვლა, საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა. დაცული იყო შემაჯამებელი ოქმის საჯაროობის პრინციპი. ხმის დათვლის პროცესში არსებული დარღვევები, დამკვირვებელთა შეფასებით, პროცედურული დარღვევები განპირობებული იყო არა არჩევნების გაყალბების სურვილით, არამედ საუბნო–საარჩევნო კომისიის წევრთა არასათანადო კვალიფიკაციით, რაც წარმოადგენს სისტემური ხასიათის პრობლემას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს შემდეგი დარღვევები:

- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში, 42.32.92 საარჩევნო უბანზე, ხმების დათვლა გაჭიანურდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეფასებით, გაჭიანურების მიზეზი იყო კომისიის წევრების უყურადღებობა და თვლის დროს დაშვებული არაერთი ტექნიკური შეცდომა.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში #44 საარჩევნო უბანზე ხმის დათვლის პროცესში გამოიკვეთა, რომ მაჟორიტარული და პროპორციული ბიულეტენების ერთი წყვილი იყო კონვერტის გარეშე. აღნიშნული ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა თავმჯდომარესთან, მაგრამ მან არ ჩათვალა საჭიროდ, რომ აღნიშნული ბიულეტენები ჩაეთვალა ბათილად. ამით დაირღვა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც,

ბიულეტენი მიიჩნევა ბათილად იმ შემთხვევაში, თუ იგი ყუთში სპეციალური კონვერტის გარეშე აღმოჩნდა[65].

- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.38 საარჩევნო უბანზე საარჩევნო სუბიექტის („დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“) წარმომადგენელი ცდილობდა, მთვლელებთან ერთად მონაწილეობა მიეღო კონვერტიდან ბიულეტენის გადმოტანასა და დათვლის პროცესში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა, წარმომადგენელს მოუწოდა, არ ჩარეულიყო კომისიის წევრთა ფუნქციებში, რის შემდეგაც დარღვევას ადგილი აღარ ჰქონია.
- საჩხერის №53 ოლქის 53.50.46 უბანზე საარჩევნო სუბიექტის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის) წარმომადგენელი აგრეთვე ცდილობდა მონაწილეობა მიეღო თვლის პროცესში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა გააპროტესტა აღნიშნული და მოითხოვა წარმოამდგენელს დაეკავებინა კანონით მისთვის განსაზღვრული ადგილი და არ ჩარეულიყო კომისიის წევრთა ფუქნციებში.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში #35.22.44 საარჩევნო უბანზე მთვლელებს არ ჩამოუჭრიათ გამოუყენებელი ბიულეტენებისთვის კუთხე და არ შეუკრავთ გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენები ცალ-ცალკე პაკეტებად, როგორც ამას კანონმდებლობა განსაზღვრავს[66]. მათ არ დაულუქავთ ცალ-ცალკე ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. მდივანს არ დაულუქავს აღნიშნული დოკუმენტები და არ მიუთითებია დალუქულ პაკეტებზე საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი. თავმჯდომარესა და მთვლელებს არ გაუკეთებიათ ხელმოწერები. ამავე უბნაზე ადგილი ჰქონდა ფაქტს, როდესაც მთვლელებმა ვერ შენიშნეს, რომ ბიულეტენზე მონიშნული იყო არა ერთი, არამედ ორი საარჩევნო ნომერი, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრი დამკვირვებელმა მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციისა და წესრიგის დარღვევის ფაქტები

არჩევნების სამართლებრივ რეჟიმში წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციისა და წესრიგის დარღვევის ფაქტების აღკვეთას. კანონმდებლობით,

---

[65] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 69, ნაწილი 3. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

[66] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს კომისიის მდივანი ჩამოაჭრის კუთხეს. გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები იკვრება ცალ-ცალკე პაკეტებად. თითოეულ პაკეტზე უნდა მიეთითოს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტრენების სახე. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და ამისთვის პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე[67]. მიუხედვად საკითხის პრიორიტეტულობისა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, კენჭისყრის დღის განმავლობაში დაფიქსირდა წესრიგისა და სავარაუდო აგიტაციის არაერთი ფაქტი:

- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის #42.32.64 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთმა რეგისტრატორმა რამდენჯერმე ხმამაღლა ახსენა ირაკლი ალასანია. აღნიშნულის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის წევრს მიუთითა, რომ უბანზე საარჩევნო სუბიექტების აგიტაციის გაწევა დაუშვებელია.
- ადამიანის უფებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, ქ. გორის #41.32.12 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი პოლიტიკური სუბიექტის (თავისუფალი დემოკრატები) მაისურებიანი ახალგაზრდები აწარმოებდნენ აგიტაციას.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს #35.22.37 საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიულ დამკვირვებელსა და კომისიის წევრებს შორის. დაპირისპირების საფუძველი გახდა ნაციონალური მოძრაობის პარტიული დამკვირვებლის აგიტაცია.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის 35-ე საარჩევნო ოლქის, სოფელ ქეშალოს, #35.22.38 საარჩევნო უბანზე შედიოდნენ გაურკვეველი პირები. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს განუმარტა, რომ მათ არ ჰქონდათ კეჭისყრის ოთახში ყოფნის უფლება. თავმჯდომარემ გაითვალისწინა აღნიშნული, მაგრამ ერთ-ერთი პირი, რომელიც თავს „აგიტატორს“ უწოდებდა, იჩენდა აგრესიას დამკვირვებლის მიმართ. ამავე უბანზე ამომრჩევლებს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება აზერბაიჯანულ ენაზე. რამდენადაც დამკვირვებელმა მოიპოვა ინფორმაცია, ერთ-ერთი აქტივისტი მოუწოდებდა ამომრჩევლებს, მიეცათ ხმა მმართველი პარტიისთვის.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჩეგანის N35.22.43 საარჩევნო უბანზე კომისიის წევრმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“) ამომრჩეველს მიუთითა, მოენიშნა ნომერი 5. ამას მოჰყვა დამკვირვებლის, „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენლის უკმაყოფილება, რაც აღნიშნულ ორ პირს შორის ხმაურიან ვერბალურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის 50-ე ოლქის 53.50.43 უბანზე ერთ-ერთი ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შევიდა „ქართული ოცნების“ მაისურით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის თავჯდომარეს მოსთხოვა რეაგირება, რის შემდეგაც თავმჯდომარემ ამომრჩეველს უბანი დაატოვებინა.
- ადამიანის უფლებათა ცენტრის მობილური ჯგუფის ინფორმაციით, ახმეტის მუნიციპალიტეტში თითქმის ყველა უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე

[67] საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 59. ხელმისაწვდომია: https://www.matsne.gov.ge/

იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც იწერდნენ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლების სახელებსა და გვარებს. სოფელ ჯოყოლოში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე „ქართული ოცნების“ აქტივისტები ასევე ეწეოდნენ აგიტაციას. ამასთან, სოფელ ომალოში ამომრჩევლებს კაბინაში შესვლისას თან ატანდნენ კონვერტებსაც. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ, მსგავსი დარღვევა აღარ განმეორებულა[68].

- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ომალოს #28.18.24 საარჩევნო უბნის გარეთ აგრეთვე დაფიქსირდა პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მოწოდებები და აგიტაცია, რაზედაც მიეცათ სიტყვიერი გაფრთხილება.
- ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის # 28.18.05 საარჩევნო უბნის მიმდებარედ ასევე ფიქსირდებოდა აგიტაციის ნიშნები.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თაქალოში #35.22.44 საარჩევნო უბანზე ფიქსირდებოდა ხალხის ძალიან დიდი რაოდენობა, რომელთაც უკვე მიცემული ჰქონდათ ხმა, მაგრამ მაინც არ ტოვებდნენ უბნის მიმდებარე ტერიტორიას. შედეგად, საარჩევნო უბანზე შეინიშნებოდა ხმაური, წესრიგის დარღვევა, რაც რეგისტრატორებს ურთულებდა სამუშაო პროცესს. ამავე უბანზე დაპირისპირება მოხდა კომისიის თავმჯდომარესა და „თავისუფალი ზონის“ დამკვირვებელს შორის. დაპირისპირების საფუძველი გახდა რეგისტრატორის მითითება ერთ-ერთი ამომრჩევლის მიმართ, თუ რა არჩევანი უნდა გაეკეთებინა.
- სოფელ აკაურთაში, #33.23.15 საარჩევნო უბანზე მთელი კენჭისყრის დღის განმავლობაში, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა პარტიების აქტივისტები. მათი ნაწილი ეწეოდა აგიტაციას. საბოლოოდ, დაფიქსირდა ურთიერთშელაპარაკება, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება საუბნო კომისიის თავჯდომარემ. თავმჯდომარის რეაგირების შედგომ, უბნის მიმდებარედ ინციდენტი აღარ განმეორებულა. ამავე უბანზე კენჭისყრის დღის განმავლობაში, ერთ-ერთმა რეგისტრატორმა რამდენჯერმე ხმამაღლა დაიწყო„ქართული ოცნების“ სასარგებლო აგიტაცია, რაზეც შენიშვნმა მისცა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ სამტრედოს N 33.23.46 უბანზე, კომისიის წევრებმა დატოვეს საარჩევნო უბანი და უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე საუბრობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე, ხშირად ახსენებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის სახელწოდებებს, მათ საარჩევნო ნომრებს და პოლიტიკურ ლიდერთა გვარებს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულის თაობაზე დაწერა საჩივარი, სადაც აღინიშნა დარღვევის ხასიათი და მოითხოვა ქმედების დაუყოვნებლივ აღკვეთა. ამის

[68]იხილეთ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18927&lang=geo

შედგომ, მდგომარეობა გამოსწორდა და კომისიის წევრები დაუბრუნდნენ საარჩევნო უბანს[69].

- მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ აზიზკენდის N: 35.22.14 უბანზე აგრეთვე დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა „ქართული ოცნების“ აქტივისტები ცდილობდნენ „ქართული ოცნების“ მაისურით და სიმბოლიკით შესულიყვნენ უბანზე. აღნიშნულზე მიეცათ შენიშვნა და კომისიის თავმჯდომარემ აღკვეთა ფაქტი - აქტივისტები უბანზე არ შეუშვეს. ამავე უბანზე ადგილი ჰქონდა კომისიის წევრებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას.
- ბოლნისის 33-ე ოლქის, სოფელ ჭაპალას #33.23.40 უბანის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმყოფებოდნენ ადამიანები, რომლებიც ფანჯრებიდან აკვირდებოდნენ უბანში მიმდინარე პროცესებს. ერთ-ერთი მამაკაცი მოულოდნელად უბნის ტერიტორიაზე შეიჭრა, რასაც მოჰყვა კომისიის წევრებთან კონფლიქტი. მისი თქმით, რეგისტრატორი მოუწოდებდა ამომრჩევლებს, ხმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისთვის მიეცათ. ამის შემდეგ, აღნიშნულმა მამაკაცმა, კომისიის წევრებს მიუთითა მაგიდაზე დაწერილ ხუთიანზე - „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ნომერზე, რომელიც კომისიის წევრებმა შემჩნევისთანავე წაშალეს. როგორც გაირკვა, მამაკაცი იყო ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს მოუწოდა, ფანჯარა გაეთავისუფლებინა გარე დამკვირვებლებისაგან, რის შესახებაც ჩანაწერთა წიგნშიც შეიტანა შენიშვნა. თავმჯდომარემ შენიშვნა გაითვალისწინა[70].
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიქოზში, #42.32.99 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტი მოხდა. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ერთმანეთს ფიზიკურად გაუსწორდნენ. სიტყვიერი დაპირისპირება უშვერი სიტყვებით ჩხუბსა და შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. სიტუაციის განმუხტვა პოლიციამაც ვერ შეძლო. ჩხუბი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, რის შემდეგაც, დაპირისპირებული მხარეები ოჯახის წევრებმა წაიყვანეს ადგილიდან[71].
- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში, # 42.32.92 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ პოლიტიკურ აქტივისტებს შორის დაფიქსირდა კამათი. რამდენადაც გაირკვა, შელაპარაკება პარტია „ქართული ოცნების“ და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ირაკლი ოქრუაშვილის მომხრეებს შორის მოხდა.
- გორის რაიონის სოფელ ტყვიავის #42.32.64 უბანში მდგომარეობა დაიძაბა მას შემდეგ, რაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიმართ კომისიის თავმჯდომარეს გაუჩნდა ეჭვი, რომ იღებდა საარჩევნო სიებს. კომისიის თავმჯდომარე მკლავზე ხელის შეხებით შეეცადა ეს წარმომადგენელი ორ

---

[69] იხილეთ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18934&lang=geo

[70] იხილეთ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18933&lang=geo

[71] იხილეთ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18931&lang=geo

მეტრისგან მოშორებით გაეყვანა. საბოლოოდ, დაისვა უბნიდან წარმომადგენლის გაძევების საკითხი, რასაც კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ. აღნიშნულის მიუხედავად, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ჩარევის შედეგად მდგომარეობა განიმუხტა.

- გორის მუნიციპალიტეტის ზემო ნიქოზში, #42.32.58 საარჩევნო უბანზე აჟიოტაჟი გამოიწვია უბნის მიმდებარედ მამაკაცებს შორის შელაპარაკებიდან ხელჩართულ ბრძოლაში გადასულმა ჩხუბმა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, ადგილობრივებმა დროულად განარიდეს ერთმანეთს მოკამათე სუბიექტები.
- შსს-ს ინფორმაციით, მარნეულის სოფელ ყიზილაჯლოში პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ბლოკი „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ მომხრეები 48-ე საარჩევნო უბანზე შეიჭრნენ[72] და საარჩევნო ყუთის გატაცებას შეეცადნენ. ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცველებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს, რის შემდეგაც აღნიშნული პარტიების მხარდამჭერები, უწყების განცხადებით, განსაკუთრებით აგრესიულები გახდნენ და პოლიციელების მისამართით ქვების სროლა დაიწყეს. შსს-ს ინფორმაციით, დაპირისპირების შედეგად, რამდენიმე სამართალდამცველი, მათ შორის, მარნეულის პოლიციის უფროსი დაშავდა. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიციის დამატებითი ძალები, დააკავეს აქტივისტები. მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით დაიწყო, რაც არჩევნებში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს[73].
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, განმუხურის საარჩევნო უბანზე, აგრეთვე, დაფიქსირდა ინციდენტი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განმარტებით, საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დასრულების შემდგომ, ხმების დათვლის მიმდინარეობისას ყუთი გაქრა უბნიდან, ბიულეტენები ეყარა ძირს, საუბნო კომისიის თავმჯდომარემ კი დატოვა უბანი. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჩივარი, აღნიშნული უბნის ბათილად ცნობის შესახებ[74].
- ბოლნისის 33-ე ოლქში, სოფელ ძველი ქვეშის მე-20 საარჩევნო უბანზე, შუადღისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის მობილური ჯგუფის მისვლისას აღმოჩნდა, რომ უბანი დროებით დახურული იყო და ამომრჩევლები დერეფანში ელოდებოდნენ მის გახსნას. უბნის დახურვის მიზეზად კომისიის წევრებმა სადილის დრო დაასახელეს. მობილური ჯგუფის ცნობით, კომისიის წევრებს დოკუმენტებზე სუფრა ჰქონდათ გაშლილი, რა დროსაც დოკუმენტების ნაწილს წყალი გადაასხეს და შემდეგ გაშრობას ცდილობდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, რომელიც კომისიამ არ

---

[72] ამავდროულად, თავის მხრივ, ორივე მითითებული პარტია, ფაქტზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებდა.

[73]იხილეთ: http://1tv.ge/ge/news/view/137817.html

[74] იხილეთ ინფორმაცია განმუხურის 38-ე საარჩევნო უბნის ბათილად ცნობის თაობაზე

დაარეგისტრირა. დამკვირვებელი დაუკავშირდა ცესკოს, სადაც განაცხადეს, რომ მათი წარმომადგენელი მივიდოდა უბანზე. ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ დამკვირვებელმა კვლავ დარეკა ცესკოში, საიდანაც განუცხადეს, რომ საოლქო კომისიის თავმჯდომარე იმყოფებოდა უბანზე და ყველაფერი რიგზე იყო. საპასუხოდ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ცესკოს აცნობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია იყო არასწორი, რადგან მას უბანი არ დაუტოვებია და იქ საოლქო კომისიიდან წარმომადგენელი არ გამოცხადებულა. დამკვირვებელი კვლავ მოითხოვდა საჩივრის რეგისტრაციას, რის გამოც კომისიის წევრები გაბრაზდნენ და თავად დარეკეს ცესკოში. მათ განაცხადეს, რომ დამკვირვებელი ხელს უშლიდათ საქმიანობის განხორციელებაში. საპასუხოდ ცესკოდან მათ მოუწოდეს, დაერეგისტრირებინათ დამკვირვებლის საჩივარი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის თქმით, ამის შემდეგ კომისიის წევრებმა მაინც ვერ დაურეგისტრირეს საჩივარი, რადგან არ იცოდნენ, ეს პროცედურა როგორ განეხორციელებინათ[75].

კენჭისყრის დღის საჩივრები და შენიშვნები ჩანაწერთა წიგნში

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, საჩივრების სიუხვით არ გამოირჩეოდა. ამ თვალსაზრისით, ტენდენციის სახით გამოიკვეთა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისა და თავმჯდომარეების მაქსიმალური მცდელობა, საჩივრები არ დაფიქსირებულიყო. რიგ შემთხვევებში, თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი კატეგორიულ უარს ამბობდნენ საჩივრის დაფიქსირებაზე, რის შემდეგაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ახდენდნენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიათან დაკავშირებას. ზოგჯერ კი კომისიის წევრები სიტყვიერი შენიშვნის მიღების შემდგომ მაქსიმალური სიზუსტით ახდებდნენ ხარვეზების გამოსწორებას, საჩივრის რეგისტრაციის თავიდან არიდების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ სულ დარეგისტრირდა 14 საჩივარი. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, საჩივრები მომზადდა შემდეგ ძირითად დარღვევებთან დაკავშირებით: კომისიის წევრთა ნაწილის ჩართულობა ამომრჩევლებთან პოლიტიკურ დისკუსიებში; მასზედ, რომ დამკვირვებელმა საარჩევნო უბანზე შესვლის ნება მისცა პირს, რომელსაც უკვე ჰქონდა მიღებული მონაწილეობა არჩევნებში; იმ საფუძვლით, რომ არ ხდებოდა დამკვირვებლის შეშვება საარჩევნო უბანზე; შენობაში არ იყო გამოკრული სადემონსტრაციო ოქმი; კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისას, კომისიის წევრმა არ დაწერა ახსნა-განმარტება; გადასატან ყუთში არ მოათავსეს საკონტროლო ფურცელი; არ ხდებოდა დადგენილი წესით მარკირების პროცედურის ჩატარება და სხვა;

[75] ვრცლად: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18936&lang=geo

საჩივართა უმრავლესობა დაკმაყოფილდა რეგისტრაციისთანავე, რაც მეტყველებს საჩივართა შედეგიანობაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა, აგრეთვე, შეიტანეს 10-მდე შენიშვნა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა შეფასებით, ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა ჯერაც რჩება მოუგვარებელ და სისტემურ პრობლემად. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოიკვეთა რიგი პრობლემები, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან დაუყონებლივ რეაგირებას საჭიროებს. აუცილებელია და პრიორიტეტულ მიზნად უნდა იქნეს დასახული ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მუშაობა.

კერძოდ, ზოგადი ტენდენციის სახით გამოიკვეთა ამომრჩეველთა გაურკვევლობა ბიულეტენის შევსების წესთან დაკავშირებით. ხშირად ამომრჩევლები ვერ ახერხებდნენ ბიულეტენების სათანადო წესით, დამოუკიდებლად შევსებას, რაც მრავალ შემთხვევაში გახდა ბიულეტენთა ბათილად ცნობის საფუძველი.

უბნებზე, სადაც კენჭისყრის პროცესს ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდებოდა, ამომრჩეველთა უმეტესობა ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდა, რომლებიც ვერ ფლობდნენ ქართულ ენას, შესაბამისად, ქართულ ენაზე გამოკრული ინსტრუქციები მათთვის გაუგებარი იყო. თუმცა, აღსანიშნავია რომ ქართული ენის არცოდნა არ იყო ერთადერთი დამაბრკოლებელი გარემოება - იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოქალაქე ფლობდა ქართულ ენას, ბიულეტენის შევსება მაინც წრმოადგენდა სირთულეს. შესაბამისად დგინდება, რომ ენის არცოდნა არ არის ერთადერთი დაბრკოლება და აუცილებელია ამომრჩეველთა ზოგადი ინფორმირება.

ტენდენციის სახით გამოიკვეთა ამომრჩევლების მიერ არჩევნის თანმხლებ პირებთან ერთად დაფიქსირების სურვილიც. მართალია, მოქმედი რეგულაციის[76] თანახმად, მოქალაქეებს გააჩნიათ ამის უფლება, მაგრამ როდესაც ხმის მიცემის პროცესში უცხო პირის დასწრება ხშირ ხასიათს ატარებს, შესაძლებელია, გაჩნდეს ეჭვი ამომრჩევლებზე ზემოქმედების არსებობის თაობაზე. ამასთან, გაურკვეველია, იყვნენ თუ არა თანხმლები პირები შესაბამის უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლები და აქედან გამომდინარე, ჰქონდათ თუ არა უბანზე ყოფნის უფლება. ადამიანის უფლებათა ცენტრის

[76] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 65 -ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;ბ) კანდიდატისა;გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;დ) დამკვირვებლისა;ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა.

წარმომადგენლები მოუწოდებდნენ კომისიის წევრებს გაეკონტროლებინათ, თუ ვინ მიჰყვებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველს დამხმარედ კაბინაში, მაგრამ აღნიშნული ფაქტების აღკვეთა სრულად ვერ ხერხდებოდა.

საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ცესკომ მეტ-ნაკლებად გამჭვირვალედ და ობიექტურად იმუშავა. წინასაარჩევნო პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ ჩართულნი საარჩევნო პროცესში და მათი ინფორმირება, კონკრეტული, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ სათანადოდ იყო უზრუნველყოფილი. დამკვირვებლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიისათვის ცესკოს სხდომები იყო ღია. აღსანიშნავია, რომ ცესკოდან საჯარო ინფორმაციის მიღება არ წარმოადგენდა სირთულეს. ადმინისტრაცია კანონით განსაზღვრული ვადების დაცვით (რიგ შემთხვევებში, ვადაზე ადრეც) ახდენდა წერილობითი პასუხის მოწოდებას, აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო და გამართული მუშაობით გამორჩეოდა სატელეფონო მომსახურების ცენტრი.

საქართველოს უახლოეს წარსულში არსებობდა პრეცენდენტები, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები საკუთარი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დამოუკიდებლად მოქმედებას ვერ ახერხებდნენ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხდებოდა პოლიტიკური ასპექტების გათვალისწინება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა გაცილებით გამჭვირვალე გახდა. იგრძნობოდა ცესკოს ნება, მომხდარიყო საარჩევნო პროცესების სამართლებრივ რეჟიმში წარმართვა. აღსანიშნავია, რომ არ იგრძნობოდა სამოქალაქო სექტორთან, მათ შორის დამკვირვებელ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დეფიციტი. დამკვირვებელ ორგანიზაციებს მიეწოდებოდა საარჩევნო საკითხების თაობაზე ლიტერატურა. ყოველივე ამან განაპირობა საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობის გაზრდა.

ცენტრალური საარჩვენო კომისიის მუშაობის გაუმჯობესების მიუხედავად, ხშირია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არაკვალიფიციურობა, რაც წარმოადგენს სისტემურ პრობლემას. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები განიცდიან ინფორმაციის, პროცედურული საკითხების ცოდნის დეფიციტს, რაც საფრთხეს უქმნის არჩევნების სამართლებრივ რეჟიმში წარმართვას და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ანგარიშებში დაფიქსირებული დარღვევების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. შესაბამისად, აუცილებლად მიიჩნევა კომისიის წევრთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული უნარების დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმართულებით მუშაობა, რამაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი წესით ჩატარებას.

საუბნო და საოლქო კომისიების მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები ამით არ შემოიფარგლება. საარჩევნო

ადმინისტრაციის საქმიანობაში პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი. რა დროსაც, სავარაუდოდ, დაფიქსირდა დაკომპლექტება წინასწარ განსაზღვრული სიების მიხედვით, რამაც მნიშვნელოვანი კითხვები გააჩინა მათი მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. შესაბამისად, დგინდება, რომ 2016 წლის არჩევნებზე კიდევ ერთხელ ცხადად გამოიკვეთა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის სისტემური რეფორმის აუცილებლობა.

დამკვირვებელთა და ჟურნალისტთა საქმიანობისათვის ხელშეშლის ფაქტები

არჩევნების დემოკრატიული პრინციპების დაცვით ჩატარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად შესაძლებელია, გამოიყენებოდეს დამკვირვებელთა და მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტების არსებობა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, კენჭისყრის დღის განმავლობაში, დაფიქსირდა აღნიშნული ხასიათის კონკრეტული შემთხვევები:

- ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი ტირძნისის 62-ე საარჩევნო უბანზე დილით, 8:00 საათზე გამოცხადდა. კომისიის წევრებმა მას განუცხადეს, რომ უბანზე ვერ დაუშვებდნენ, რადგან იგი დილით, 7:00 საათზე უნდა გამოცხადებულიყო. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, დამკვირვებლის უბანზე დაშვების მოთხოვნით, მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც დამკვირვებელი უბანზე შეუშვეს და განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია, შეიძლებოდა თუ არა უბანზე დამკვირვებლის დაშვება 7:00 საათის შემდეგ[77].
- მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ აზიზკენდის N: 35.22.14 უბანზე, კომისიის თავმჯდომარემ არ მისცა უფლება მედიის წარმომადგენელს, კამერით შესულიყო საარჩევნო უბანში და ეწარმოებინა პროცესების გადაღება. აღნიშნულის თაობაზე აგრეთვე დაიწერა საჩივარი. საჩივრის რეგისტრაციის შემდგომ, აღნიშნულ პიროვნებას მიეცა გადაღების შესაძლებლობა.
- დაუდგენელი პირების ჯგუფი შეიჭრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის #79 საარჩევნო უბანში, ჩაშალა ბიულეტენების დათვლის პროცესი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის (NHC), საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის (IPHR) და დემოკრატიული არჩევნების ევროპული პლატფორმის (EPDE) ერთობლივ მისიას.

უცხოელმა დამკვირვებლებმა რამდენიმე საათი გაატარეს ზუგდიდის ცენტრალური პოლიციის განყოფილებაში. დაიწერა შესაბამისი საჩივარი. მათ

[77] ვრცლად: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18938&lang=geo

გაეწიათ სამედიცინო დახმარება[78]. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მითითებული ხასიათის ფაქტი განსაკუთრებული საფრთხის მატარებელია. აუცილებელია თითოეულმა პირმა გააცნობიეროს, რომ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების საარჩევნო პროცესში მონაწილეობა უზრუნველყოფილია როგორც ადგილობრივი საარჩევნო კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორიცაა ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტი.

- მარნეულის მუნიციპალიტეტის 35-ე საარჩევნო ოლქში, სოფელ ქეშალოს #35.22.37 უბანზე ამომრჩეველს სურდა, კონვერტის გარეთ გატანა, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შენიშვნა მისცა კომისიის თავმჯდომარეს. საპასუხოდ, კომისიის თავმჯდომარემ და მისმა მოადგილემ დამკვირვებელს უყვირეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. უბანზე მომხდარი დააფიქსირა საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს“ დამკვირვებელმა, სადაც ჩანს, თუ როგორ უყვირის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საამედ გაჯიევი რუსულ ენაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს და უხეშად ხელითაც ეხება. ფიზიკური შეურახყოფა ვიდეოს გადაღების შემდეგაც გაგრძელდა, რასაც ადასტურებენ მოწმეები[79]. შემთხვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსმა თამარ ავალიანმა პოლიციას შეატყობინა და ცოტა ხანში თვითონაც მივიდა ქეშალოს 37-ე უბანზე. მისი ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს აღენიშნება დაზიანებები. მას ასევე დაუხიეს ჩანაწერების რვეული. პოლიციამ დამკვირვებელი და მოწმეები პოლიციაში გადაიყვანა, სადაც დაიკითხნენ შემთხვევასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მომხდარის შესახებ ინფორმაცია, სატელეფონო შეტყობინების გზით, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიას, ასევე ცესკოსაც მიაწოდა. პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სსკ-ის 162-ე პრიმა მუხლის I ნაწილით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა)[80]. აღნიშნულის მიუხედავად, დამკვირვებელი არჩევნებიდან 14 დღის შემდგომ ჯერ კიდევ არ იყო დაზარალებულად ცნობილი და არც ცესკოს მოუხდენია ადმინისტრაციული წესით რაიმე რეაგირება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინიციატივით 21 ოქტომბერს დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა მოაწყვეს ერთობლივი პრესკონფერენცია, სადაც ისაუბრეს გამოძიების გაჭიანურების შემაშფოთებელ ფაქტებზე და მოუწოდეს სამართალდამცველებს

---

[78] ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

[79] იხილეთ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ინფორმაცია: http://web1.rustavi2.com/ka/news/59582

[80] იხილეთ: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18935&lang=geo

და ცესკოს, მოეხდინათ დროული და ეფექტური რეაგირება დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის ყველა შემთხვევაზე[81].

საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური

30 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურს ქვეყნის სამ რეგიონში დააკვირდნენ.

ორგანიზაციის მონიტორები და ჟურნალისტები იმყოფებოდნენ: ქვემო ქართლში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში; შიდა ქართლში, კონფლიქტისპირა სოფლებში და ქალაქ ხაშურში; კახეთის რეგიონში - პანკისის ხეობაში, ასევე - თელავის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტ-გამოცემა www.humanrights.ge ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც 8 ოქტომბერს, აქტიურად მუშაობდა და საზოგადოებას აწვდიდა ინფორმაციას დღის განმავლობაში დაფიქსირებული, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სულ, დღის განმავლობაში გამოქვეყნდა რვა სტატია.

დამკვირვებლების ინფორმაციით, არჩევნების მეორე ტურზე ძირითადი ტენდენციის სახით, პირველ ტურთან შედარებით, შეინიშნებოდა ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა, რაც სავარაუდოდ იმით აიხსნება, რომ მეორე ტური მხოლოდ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში ჩატარდა და კონკურენცია, ძირითადად, ორი პოლიტიკური პარტიის კანდიდატებს შორის მიმდინარეობდა.

ადამიანის უფლებათაა ცენტრის დამკვირვებელთა შეფასებით, კენჭისყრის პროცესმა, ძირითადად, მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩაიარა. დაფიქსირებული დარღვევების უმრავლესობა პროცედურული ხასიათისაა და დიდწილად, გამოწვეული იყო საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთა არაკვალიფიციურობით. ამავე დროს, დაფიქსირებული დარღვევები არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს.

რაც შეეხება დაფიქსირებულ დარღვევებს, არსებითად იმავე ხასიათის პრობლემები გამოიკვეთა, რაც პირველი ტურის მიმდინარეობისას. მათ შორის, დაირღვა კანონმდებლობის ზოგიერთი პროცედურული ხასიათის მოთხოვნა[82]; შეინიშნებოდა უბნების მიმდებარე ტერიტორიებზე აგიტატორთა აქტიურობა, რომლებიც პირდაპირ თუ არაპიდაპირ გავლენას ახდენდნენ ამომრჩეველთა

---

[81] იხილეთ ინფორმაცია ერთობლივი პრესკონფერენციის თაობაზე

[82] მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის უბანზე გამოცხადების დროისათვის, #28.17.38 საარჩევნო უბანზე, უბნის კარი იყო დაკეტილი; ამავე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, რომ ყუთის მეთვალყურე კომისიის წევრმა, პოზიცია დატოვა სხვა კომისიის წევრის ჩანაცვლების გარეშე.

ნების გამოხატვის თავისუფლებაზე; პირველი ტურის მსგავსად, განსაკუთრებული აქტუალობით ხასიათდებოდა კომისიის წევრთა არაკვალიფიციურობა, პროცედურული ხასიათის საკითხების, კანონმდებლობის მოთხოვნების არცოდნა[83]; რიგ შემთხვევაში საარჩევნო უბანზე ფიქსირდებოდა საარჩევნო სუბიექტის ერთზე მეტი წარმომადგენლის ყოფნაც[84]. პრობლემები დაფიქსირდა სადემონსტრაციო ოქმების შევსებასთან დაკავშირებით[85]. უბნებზე იმყოფებოდნენ პირები, სამკერდე ნიშნის გარეშეც[86]; სტანდარტულ პრობლემად რჩება უბნებზე ბიულეტენების ნაკლებობა; გამოიკვეთა პირადობის მოწმობასთან დაკავშირებული პრობლემებიც[87]; რიგ შემთხვევებში, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები გამოკვეთილ სიმპატიას გამოხატავდნენ კონკრეტული საარჩევნო სუბიექტების მიმართ[88].

---

[83] მაგალითად, N28.17.39 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა საარჩევნო უბანი თვითნებურად დატოვა, რის შედეგადაც იგი უბანზე აღარ დაუშვეს; ამასთან, #28.17.38 უბანზე ადგილობრივი მედიის წარმომადგენელს სურვილი ჰქონდა ინტერვიუ ჩაეწერა კომისიის თანჯდომარესთან უბნის ტერიტორიაზე, რაზეც კომისიის თავმჯდომარე დათანხმდა. აღნიშნულის თაობაზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მისცა შენიშვნა. ამავე უბანზე, კომისიის წევრებმა გამოთქვეს სურვილი არ ჩაეტარებინათ წილისყრა მთვლელების გამოსავლენად, ბიულეტენები კომისიის გამოცდილ წევრებს დაეთვალათ და კონვერტიდან ბიულეტენები სამივე მთვლელს თანადროულად ამოეღოთ. აღნიშნულზე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის წევრებს მისცა შენიშვნა და განუმარტა, რომ ეს წარმოადგენდა პროცედურული ხასიათის დარღვევას. კომისიის თავჯდომარემ მითითება გაითვალისწინა.

[84]მაგალითად, #28.17.38 საარჩევნო უბანზე, ერთდრულად იმყოფებოდა ერთი საარჩევნო სუბიექტის ორი წარმომადგენელი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდგომ, ერთ-ერთმა დატოვა უბანი.

[85] მაგალითად, # 42.32.99 საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადემონსტრაციო ოქმში არ იყო მითითებული მიღებული ბიულეტინების რაოდენობა. სადემონსტრაციო ოქმი ასევე არ იყო სრულყოფილად შევსებული # 35.23.48 საარჩევნო უბანზე, რაც შესაბამისი მითითების შემდეგ აღმოიფხვრა.

[86] აღნიშნული ფაქტი დაფიქსირდა #42.32.99 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

[87] გორის მუნიციპალიტეტის #42.32.58 საარჩევნო უბანზე გამოცხადდა და საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცა პირს, რომლის პირადობის მოწმობაც იყო დაზიანებული და ვერ ხერხდებოდა მოწმობის მოქმედების ვადის შესახებ ინფორმაციის მიღება.

[88] მაგალითად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, მსგავს ქმედებას ახორციელებდნენ შემდეგი ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები: „მწვანე დედამიწა“; „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“; „AllMedia“; „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბი“;

მარკირებასთან დაკავშირებული პროცედურული დარღვევები მარნეულის მუნიციპალიტეტის #35.23.48 საარჩევნო უბანზე

გარდა მითითებული ტენდენციებისა, არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობისას აღსანიშნავია შემდეგი არსებითი დარღვევა: მარნეულის მუნიციპალიტეტის #35.23.48 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა მისვლისთანავე გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც პირი, რომელსაც ევალებოდა მარკირების არსებობის შემოწმება, მოვალეობას სრულყოფილად არ ასრულებდა. კერძოდ, დაფიქსირდა მრავალი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებს ჰქონდათ მარკირების შემოწმების გარეშე შესვლის მცდელობა. მარკირების კვალის არსებობას ხსნიდნენ 22 ოქტომბრის განმეორებით არჩევნებში მონაწილეობის მიღებით. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა, აღნიშნულის თაობაზე განმარტა, რომ სითხე, როგორც წესი, აღარ აღინიშნება სამი დღის შემდეგ, მაშინ როცა განმეორებით აჩევნებსა და მეორე ტურს შორის გასული იყო უკვე შვიდი დღე და ამასთან, სითხის არსებობა რომც ყოფილიყო გამოწვეული მითითებული მიზეზით, ამომრჩეველთა დაშვება მაინც არ უნდა მომხდარიყო, ვინაიდან კანონი მსგავს შემთხვევებში ცალსახად განსაზღვრავს არჩევნებში მონაწილეობის დაუშვებლობას და გამონაკლისებს არ ითვალისწინებს.

მიუხედავად ცალსახა რეგულირებისა, დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც მარკირებული ამომრჩეველი დაუშვეს უბანზე. ამის თაობაზე დაიწერა საჩივრები. საუბნო კომისიამ საჩივრები არ დააკმაყოფილა, რაც გახდა საჩივრით საოლქო საარჩევნო კომისიისათვის მიმართვის საფუძველი. ამავე უბანზე, კომისიის წევრები ვერ ახერხებდნენ წესრიგის სრულყოფილ კონტროლს.

ხმაური ყიზილაჯლოს 35.23.50-ე საარჩევნო უბანზე

დილიდანვე შეინიშნებოდა დაძაბულობა ყიზილაჯლოს 35.23.50-ე საარჩევნო უბანზეც. შუადღის 13:00 საათზე კი ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პოლიცია გამოიძახა და უბანი რამდენიმე წუთით დაიხურა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ინფორმაციით, საარჩევნო უბანზე ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა ერთ-ერთი დამკვირვებლის განცხადებას იმის თაობაზე, რომ კაბინაში ეწერა რიცხვი 41.

დამკვირვებელსა და კომისიის წევრებს შორის კამათი უბანზე აურზაურში გადაიზარდა, რის გამოც გაიზარდა უბნის მიმდებარედ მყოფი მედიის წარმომადგენლების ინტერესი უბანში მიმდინარე პროცესისადმი. როგორც შემდგომ კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, მედიის წარმომადგენელთა შეშვება უბანზე კენჭისყრის პროცესს ჩაშლიდა, რის გამოც კომისიამ რამდენიმე წუთით მედიის წარმომადგენელთა უბანში ყოფნა შეზღუდა. კომისიის თავმჯდომარემ დახმარებისათვის პოლიციას მიმართა. პოლიციელები უბნის შესასვლელთან განლაგდნენ და კომისიის თავმჯდომარის მითითებისამებრ მოქმედებდნენ. დამკვირვებელმა, რომლის რეპლიკასაც უბანზე აურზაური

მოჰყვა, უბანი მალევე დატოვა. მითითებულ უბანზე, დაძაბული გარემო მთელი დღის განმავლობაში შენარჩუნდა.

სულ, მეორე ტურის მიმდინარეობისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა დაარეგისტრირეს ოთხი საჩივარი. ასევე, შეიტანეს რამდენიმე შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

რეკომენდაციები

დემოკრატიული მმართველობის სისტემაში, მით უფრო - იმ პირობებში, როდესაც გაცხადებულია საქართველოს სწრაფვა, მოხდეს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარებას. აუცილებელია, შეიქმნას საარჩევნო სისტემა, რომელიც თანხვედრაში იქნება დემოკრატიის პრინციპებთან, საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებთან, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიების შექმნას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან უნდა განხორციელდეს კონკრეტული, ქმედითი ნაბიჯები. აუცილებელია გაგრძელდეს საარჩევნო სისტემის რეფორმა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის აქტიური, უწყვეტი ჩართულობით.

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს:

<u>საქართველოს პარლამენტს:</u>

- აუცილებელია, საარჩევნო კოდექსით დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება ამავე კოდექსის 111-ე მუხლით კანდიდატების ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრების ცენზის ქვეშ, რათა მომავალ არჩევნებში განსჯის საგანი არ გახდეს რომელიმე კანდიდატის მიერ აღნიშნული პირობის დაკმაყოფილების საკითხი.
- მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს ამომრჩეველთა სიების სრულყოფას - ამ მიზნით რეკომენდირებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომლის თანახმად, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახს დაეკისრება შესაბამისი უწყების ინფორმირების ვალდებულება. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის მიმართ, აუცილებელია, დაწესდეს ფინანსური სანქცია, ჯარიმის სახით. აღნიშნული სამართლებრივი ბერკეტის შედეგად, ამომრჩეველთა სიაში შემცირდება გარდაცვლილ პირთა რაოდენობა.
- ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ უზრუნველყოფს საარჩევნო

ადმინისტრაციის აპოლიტიკურობას და მიუკერძოებლობას, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს იმგვარი მექანიზმის მოძიება, რომელიც უზრუნველყოფდა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მაქსიმალურ დამოუკიდებლობას. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ გასატარებელია ძირეული რეფორმა, რომლის თანახმად, საარჩევნო კომისიები სრულად დაკომპლექტდება პროფესიული ნიშნით და არც ერთ პარტიას აღარ მიეცემა არც ერთი დონის კომისიაში წევრის დანიშვნის შესაძლებლობა.

- სასურველია საკანონმდებლო რეგულაციის დანერგვა, რომლის თანახმად, საარჩევნო კომისიებში ვეღარ მოხვდებიან პირები, რომელთა მხრიდან დანაშაულები და დარღვევები დადასტურებულია ცესკოს სამართლებრივი აქტით ან სასამართლო გადაწყვეტილებით.
- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იქნება ინტერპარტიულ ფორმატში დისკუსიების ორგანიზება და დაინტერესებული ფართო წრეების ჩართულობით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმება, რათა შემდგომში პარლამენტის წევრთა არჩევა შესაძლებელი იყოს განახლებული პროპორციული სისტემის საფუძველზე.
- ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას სხვა პირის დასწრების შესაძლებლობას და განსაზღვრულია, რომ ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, აუცილებელია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის ამავე მუხლით დაზუსტდეს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება შემთხვევად, როდესაც პირს „არ შეუძლია“ დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი. არსებული რეგულაცია არის ბუნდოვანი და პრაქტიკაში იძლევა მრავალმხრივი ინტერპრეტირების შესაძლებლობას.
- აუცილებელია საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლით განისაზღვროს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოქალაქის პირადობის მოწმობა არ იძლევა რომელიმე მონაცემის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, მას არ უნდა მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

<u>ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:</u>

- აუცილებელია საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უწყვეტ რეჟიმში, ტრენინგების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზება. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს, რათა მომავალში კომისიის წევრთა არაკვალიფიციურობა აღარ გახდეს კანონდარღვევათა საფუძველი; ამავდროულად, უდავოა, რომ თითოეული კადრის მომზადება დაკავშირებულია დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვასთან. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია გადამზადებული, კვალიფიციური კადრების შენარჩუნება.

- სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კენჭისყრის შენობის მოწყობის საკითხს. გარემო, სადაც კენჭისყრა მიმდინარეობს, უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რისთვისაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები.
- იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც ამომრჩევლები ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, აუცილებელია, საარჩევნო დოკუმენტაცია იყოს ხელმისაწვდომი არა მხოლოდ ქართულ, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზეც.
- ვინაიდან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას განსაკუთრებული ხარვეზები ამ მიმართულებით გამოვლინდა, აუცილებელია პრიორიტეტად განისაზღვროს დამატებითი ღონისძიებების გატარება ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდის, სამოქალაქო განათლებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.
- წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის მიზნით, მოსახლეობისათვის მაქსიმალურად თვალსაჩინო უნდა გახდეს განსხვავება მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიასა და აღმასრულებელი ხელისუფლების თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსების ხარჯვასა და საქმიანობას შორის.
- აუცილებელია ქმედითი ნაბიჯების გადადგმა საარჩევნო უბნების შეზღუდული შესაძლებლობების ამომრჩევლისთვის მაქსიმალური ადაპტაციის მიზნით.

<u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:</u>

- აუცილებელია ამომრჩეველთა ნებაზე არაკანონიერი ზემოქმედებისა და ძალადობის ფაქტებზე მკაცრი და ეფექტიანი რეაგირება, რათა არც ერთი კანონსაწინააღმდეგო შემთხვევა, რომელიც ხელს უშლის მოქალაქის ნების განხორციელებას, არ დარჩეს სამართლებრივი რეაგირების გარეშე. გადამწყვეტია საგამოძიებო ორგანოების სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება გამოძიების წარმოებისას, რათა დამნაშავე პირები დროულად მიეცნენ პასუხისგებაში.
- დამკვირვებელთა საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებზე აუცილებელია დროული და ეფექტიანი რეაგირება, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამკვირვებელთა ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტების სისხლის სამართლის წესით დროული გამოძიება და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემა.